თეონა გაბოძე

დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ანალიზი

წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, თეონა გაბოძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი თეონა გაბოძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ანალიზი“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი:_____

თარიღი:

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ანალიზს. წინამდებარე ნაშრომში საუბარია დამნაშავის პიროვნების შესწავლის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე, კერძოდ, დამნაშავის პიროვნების არსზე და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მისი დეფინიციის განუსაზღვრელობის პრობლემაზე. ნაშრომში აგრეთვე, მიმოხილულია, დამნაშავის პიროვნება, როგორც კრიმინალური ქცევის გამომწვევი მიზეზების მატარებელი, უფრო კონკრეტულად, კი საუბარია, სოციალურ და ბიოლოგიურ მოტივთა თანაფარდობაზე, მოტივაციურ ფაქტორებსა და დამნაშავის პიროვნების ტიპოლოგიის მრავალფეროვნების პრობლემაზე. წინამდებარე ნაშრომი მოიცავს დამნაშავის პიროვნების მართლშეგნების შესაბამისობის ანალიზს სასჯელთან მიმართებით. იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელი ავალდებულებს სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება, ხოლო მისი შესწავლა ობიექტური და ყოველმხირივი გამოძების ფარგლებში ევალება ბრალდების მხარეს, პრობლემა წარმოჩენილია კონკრეტული შესწავლის მეთოდოლოგიის განუსაზღვრელობის კუთხით.

წინამდებარე ნაშრომში საუბარია, აგრეთვე არასრულწლოვანი დამნაშავისადმი მკაცრად ინდივიდუალური მიდგომის ვალდებულებაზე, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია პიროვნების შესწავლის მეთოდოლოგია და სოციალური მუშაკის მიერ ივსება შესაბამისი ანგარიში.

გარდა ამისა, ნაშრომში მიმოხილულია დამნაშავეთა პირობით ვადამდე გათავისუფლების სტადიაზე მათი პიროვნების შესწავლის საკითხი და ამასთან, საუბარია მიმდინარე წლის სიახლეზე, რომლის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთათვის შეიქმნა ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებში მინიმუმ ორი წლის განმავლობაში ზუსტად განსაზღვრული მეთოდოლოგიით შეისწავლება დამნაშავის პიროვნება და საბოლოოდ ივსება შემაჯამებელი ანგარიში.

კვლევამ გამოკვეთა, რომ აუცილებლია დაიხვეწოს სრულწლოვანი დამნაშავის პიროვნების შესწავლის მიდგომები სისხლის სამართლის სხვადასხვა სტადიაზე, რისთვისაც საჭიროა ნაშრომში მიმოხილული ევროპის ქვეყნების პრობაციის სისტემების მსგავსი მოდელის დანერგვა საქართველოში. ვინაიდან ყველა ადამიანი ღირებული უნდა იყოს

სახელმწიფოსთვის, განურჩევლად ასაკისა თუ სხვა ნიშნებისა და ამგვარი დისკრიმინაცია მართლმსაჯულების განხორციელებისას არ უნდა მოხდეს.

Annotation

Master's work is about criminological and criminal analyse of criminal personality. The present paper discusses in detail the theoretical and methodological issues of the study of the offender, in particular, the essence of the offender and the problem of the uncertainty of his definition in criminal law. The paper also reviews the personality of the offender as a carrier of the causes of criminal behavior, more specifically, the relationship between social and biological motives, motivational factors and the problem of diversity of the typology of the offender. The present paper includes an analysis of the conformity of the offender's personality with respect to punishment. Given that the legislature obliges the court to take into account the identity of the offender when making a summary decision, and its investigation is the responsibility of the prosecution as part of an objective and thorough investigation, the problem is presented in terms of the uncertainty of a specific case study methodology.

The paper also discusses the obligation of a strictly individual approach to juvenile delinquency, within which the methodology of the study of the person is defined and the relevant report is filled out by the social worker.

In addition, the paper reviews the issue of examining the identity of the offenders at the stage of parole and, in addition, discusses the novelty of the current year, according to which a new program has been created for convicts for life imprisonment, Within which for at least two years a well-defined methodology will examine the personality of the offender and finally complete a summary report.

The study revealed that it is necessary to refine the approaches to the study of adult offenders at different stages of criminal law, which requires the introduction of a similar model of probation systems in European countries reviewed in the paper in Georgia. Since all people should be valued by the state, regardless of age or other marks, and such discrimination should not occur in the administration of justice.

სარჩევი

შესავალი.....7

ლიტერატურის მიმოხილვა.....12

თავი 1. დამნაშავის პიროვნების შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები.....14

1.1. დამნაშავის პიროვნების ცნება სტრუქტურა და არსი.....14

1.2 დამნაშავის პიროვნება, როგორც კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტი.....18

1.3 დამნაშავის პიროვნების, ინდივიდუალობისა და დანაშაულის სუბიექტის ფუნქციონალური გამიჯვნის პრობლემა.....20

1.4 დამნაშავის პიროვნების ტიპოლოგიის პრობლემა.....22

თავი 2. დამნაშავის პიროვნება, როგორც ინდივიდუალური კრიმინალური ქცევის გამომწვევი მიზეზების მატარებელი.....25

2.1. სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების თანაფარდობა დამნაშავის პიროვნებაში.....25

2.2. დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი და მოტივაციური ფაქტორები.....27

2.3.დამნაშავის პიროვნება და ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირება.....29

2.4 დამნაშავის პიროვნების სოციალიზაციის პრობლემა კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში.....33

თავი 3. დამნაშავის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები.....36

3.1. არასრულწლოვნის ქცევის ინდივიდუალური პროფილაქტიკა.....36

3.2. დამნაშავის პიროვნება და სასჯელის დანიშვნა.....40

3.3. არასრულწლოვანი დამნაშავის პიროვნების შესწავლა - შეფასების ინდივიდუალური ანგარიში.....44

3.4 დამნაშავის პიროვნების შესწავლის მეთოდოლოგია მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების სტადიაზე.....46

3.5. ევროპის ქვეყნებში პრობაციის სისტემის ჩართულობა დამნაშავის პიროვნების შესწავლის პროცესში სისხლის სამართლის სხვადასხვა სტადიაზე51

შედეგები და მათი განსჯა.....55

დასკვნა.....60

ბიბლიოგრაფია.....62

შესავალი

ნაშრომის ძირითადი საკვლევი საკითხია დამნაშავის პიროვნება. დამნაშავის პიროვნების შესწავლის, მისი სწორად გააზრების საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც ცალკეული დანაშაულის და მისი ჩამდენი პირის შესწავლის, ასევე დამნაშავეთა დახასიათების და მათი ტიპოლოგიის განსაზღვრის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ დამნაშავის პიროვნების შესწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს დანაშაულობის კვლევაში. პიროვნული მიდგომით შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელთა სხვა მეთოდებით დადგენა ნაკლებადაა შესაძლებელი.

დამნაშავის პიროვნების პრობლემა მუშავდებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რა დროსაც შეიქმნა არაერთი თეორია, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი დროთა განმავლობაში უგულებელყოფილი იქნა. განვითარებასთან ერთად იცვლება კვლევის მეთოდებიც. თანამედროვე პირობებში დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური შესწავლა ემსახურება დანაშაულის პრობლემის შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფას. სწორედ კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებები, ახალი მიგნებები, ახალი ობიექტები და ამოუხსნელი ფენომენები ქმნის დამნაშავის პიროვნებას, კრიმინოლოგიის აქტუალურ ობიექტად.

საკითხის აქტუალურობა - სისხლის სამართლის კოდექსში თუ სხვა საკანონმდებლო აქტებში არაერთგზის გვხვდება ტერმინი „დამნაშავე“, თუმცა კანონმდებელი არ განსაზღვრავს მის დეფინიციას, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი ნორმის ანალიზის შედეგად ვაწყდებით არაერთ უზუსტობას და წინააღმდეგობას.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავის პიროვნება კრიმინოლოგიაში სიღრმისეულად არის შესწავლილი, ნაშრომში წარმოჩენილია კლეპტომანი დამნაშავეების მოტივაციური ფაქტორებისა და ქცევის მექანიზმის ამოუხსნელობის პრობლემა. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია დისოციაციური აშლილობის მქონე პირების საკითხი, რომლებიც პრეცენდენტული სისხლის სამართლის საქმის განხილვამდე, იყვნენ მხოლოდ ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების შესწავლის ობიექტები. მსგავსი ფაქტები ჯერ კიდევ სიახლეა კრიმინოლოგიისთვის, შესაბამისად, აქტიურად უნდა მოხდეს მათი გამოკვლევა.

წინამდებარე ნაშრომში საუბარია დამნაშავის პიროვნებისა და სასჯელის დამნშვნის ურთიერთქმედებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებელი ავალდებულებს სასამართლოს სასჯელის დანიშვნის სტადიაზე გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება, კანონი არ განსაზღვრავს მისი შესწავლის მეთოდოლოგიას, განსხვავებით არასრულწლოვნის შემთხვევაში.

ნაშრომში აგრეთვე, განხილულია მიმდინარე წლის სიახლე, რომლის შესაბამისად უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებისთვის განსაზღვრულია გათავისუფლებისთვის მომზადების ახალი პროგრამა, რომლის ფაგლებში საფუძვლიანად ხდება დამნაშავის პიროვნების შესწავალა და შემაჯამებელი დოკუმენტის შედგენა.

გარდა ამისა, თემა მოიცავს ევროპის სხვასხვა ქვეყნების პრობაციის სისტემების მოდელების მიმოხილვას, რომელთა საქმიანობა ვლინდება სისხლის სამართლის სხვადასხვა სტადიაზე, მათ შორის სასჯელის დანიშვნამდე სრულწლოვანი დამნაშავის პიროვნების შესწავლისა და შესაბამისი დოკუმენტის შედგენის კუთხით.

კვლევის მიზანი - ნაშრომის კვლევის მიზანია წარმოაჩინოს დამნაშავის პიროვნების შრულყოფილად შესწავლის აუცილებლობის მნიშვნელობა, როგორც კრიმინოლოგიური, ასევე, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით. გარდა ამისა, გამოავლინოს დამნაშავის პიროვნებასთან სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და უსწორობები. აგრეთვე, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მიმდინარე წლის პროგრესული სიახლის განხილვა, რომელიც დაკავშირებულია მართლმსაჯულებაში დამნაშავის პიროვნების შესწავლის საფუძველზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებასთან. აგრეთვე, კვლევის მიზანია აღმოაჩინოს განვითარებად ქვეყნებში არსებული პრობაციის სისტემების ყველაზე უფრო მისაღები მოდელები, რომელთა საქართველოში დანერგვა ხელს შეუწყობს დამნაშავის პიროვნების საფუძვლიან შესწავლას და აღნიშნულის სადუძველზე მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი - კვლევა ძირითადად აგებულია ზოგად-სამეცნიერო მეთოდოლოგიაზე. აგრეთვე, გამოყენებულია ლოგიკური მეთოდი, რომელიც მოიცავს ანალიზს, დედუქცია, ინდუქციას და ა.შ. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ანალიტიკური, ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომლის შესაბამისად, მითითებულია პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ავტორების მოსაზრებები და დროთა განმავლობაში აღიარებული და უარყოფილი თეორიები. ანალიტიკური კვლევის მეთოდი, გულისხმობს პრობლემის ანალიზს, მსჯელობას და იძლევა რაციონალური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ისტორიული კვლევის მეთოდი კი დამნაშავის პიროვნების შესწავლის მეთოდოლოგიასა და განვითარების ეტაპებს წარმოაჩენს.

ნაშრომის სტრუქტურა - ნაშრომი შედგება ლიტერატურის მიმოხილვის, შესავლის, 3 თავის, ქვეთავების, შდეგების და მათი განსჯის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

თემა როგორც აღვნიშნე, მოიცავს ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, რაც გადმოცემულია დამნაშავის პიროვნებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული კონტექსტით. პრობლემასთან დაკავშირებით გამოყენებულია სასწავლო და სამეცნიერო იურიდიული ლიტერატურა, სტატიები, ნორმატიული მასალა და ინტერნეტ რესურსები.

წინამდებარე ნაშრომის **პირველ თავში** განხილულია დამნაშავის პიროვნების შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, კერძოდ დამნაშავის პიროვნების სტრუქტურა და არსი, პრობლემურია თუ არა დანაშაულის სუბიექტისა და დამნაშავის პიროვნების ფუნქციონალური გამიჯვნის საკითხი. აგრეთვე, განხილულია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ტერმინის „დამნაშავე“ დეფინიციის განუსაზღვრელობის პრობლემა.

ნაშრომის **მეორე თავი** დათმობილი აქვს დამნაშავის პიროვნების ქცევის მექანიზმებსა და მოტივაციური ფაქტორების განხილვას, სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების თანაფარდობას დამნაშავის პიროვნებაში. ასევე, მიმოხილულია დამნაშავე პიროვნების ტიპოლოგიისა და კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან ურთიერთქმედების პრობლემა.

თემის **მესამე თავი** ეთმობა დამნაშავის პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს, კერძოდ, როგორ არის ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირება შესაძლებელი. აგრეთვე საუბარია სისხლის სამართლის პროცესში სრულწლოვანი დამნაშავის პიროვნების შესწავლის კონკრეტული მეთოდოლოგიის განუსაზღვრელობაზე, განსხვავებით არასრულწლოვანი დამნაშავისგან. გარდა ამისა მიმოხილულია პირობით ვადამდე გათავისუფლების სტადიაზე დამნაშავეთა პიროვნებების საფუძვლიანი შესწავლის საკითხი.

ნაშრომი ასევე მოიცავს შედეგების განსჯას, რომელშიც დეტალურად არის მიმოხილული კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემები და მისი

გადაჭრის გზები. თემის ბოლოს კი, გაკეთებულია დასკვნა ნაშრომის ზოგადი შეფასების და მასში დასახული მიზნების მიღწევის კუთხით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა არაერთი სახელმძღვანელო, სტატია, ოფიციალური კვლევები, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.

ნაშრომის პირველ თავზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა არაერთი სახელმძღვანელო: ზაურ წულაიას „კრიმინოლოგია“, 2005 წლის გამოცემა, ირაკლი გოძიაშვილის „კრიმინოლოგია“, 1998 წლის გამოცემა, სხვადასხვა ავტორისა და გიორგი ღლონტის სამეცნიერო რედაქტორობით გამოცემული წიგნი „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემები საქართველოში“. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით შინაარსიანი აღმოჩნდა. მასში ვრცლად არის საუბარი იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომელზეც მსჯელობაც აუცილებელი იყო ნაშრომში სრულყოფილი აზრის გადმოსაცემად. აღსანიშნავია, რომ ზაურ წულაია კარგად ახდენს გამიჯვნას და გადმოსცემს განსხვავებას დამნაშავის პიროვნებას, დანაშაულის სუბიექტსა და ინდივიდუალიზმს შორის. დამნაშავის პიროვენბის როგორც კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტის განხილვისას გამოყენებულია რევაზ ჭოღოშვილის 1995 წელს გამოცემული „კრიმინოლოგია“ და გერმანელი კრიმინოლოგის მეიერის 2007 წელს გამოცემული Kriminologie”, გარდა ამისა, აღსანიშნავია ამერიკელი მწერლის დენიელ კიზის წიგნი „ბილი მილიგანი მრავალი გონება“, რომელიც მხოლოდ დოკუმენტური წყაროების საფუძველზეა შედგენილი.

წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში განხილულია დამნაშავის პიროვნება, როგორც ინდივიდუალური კრიმინალური ქცევის გამომწვევი მიზეზების მატარებელი, კერძოდ, მიმოხილულია სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების თანაფარდობა დამნაშავის პიროვნებაში, დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი და მოტივაციური ფაქტორები. აღნიშნულ საკითხზე კვლევის ჩატარებაში და სხვადასხვა ავტორის მოსაზრების გაცნობაში დამეხმარა გ. ავანესოვისა და სხვათა ავტორობით 2007 წელს გამოცემული „კრიმინოლოგია“. ნაშრომის მეორე თავზე მუშაობისას დამატებით გამოყენებულია მ. გაბუნიას 2011 წელს გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო „შესავალი კრიმინოლოგიაში“.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვან დამნაშავეებთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას გამოყენებულია მორის შალიკაშვილისა და გივი მიქანაძის თანაავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“. მოტივაციურ ფაქტორებსა და

დამნაშავის პიროვნების სოციო-კულტურულ გარემოში სოციალიზაციის პრობლემაზე საუბრისას დამეხმარა არაერთი უცხოელი პროფესორის ავტორობით გამოცემული წიგნები: Arnold D. O., The Sociologie of subcultur; Schwendter R., Theorie Der Subkultur; Schneider H.,J., Krimilogie; Meier. B.-D., Kriminologie; Mergen, A., Die Kriminologie, Eine Systematische Darstellung; Kaiser G., Kriminologie, Eine Einfuhrung in die Grundlagen.

ნაშრომის მესამე თავში გაკეთებულია დამნაშავის პიროვნების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, კერძოდ განხილულია დამნაშავის პიროვნებისა და სასჯელის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, დამნაშავის ქცევის პროგნოზირების საკითხი, არასრულწლოვნის შეფასების ინდივიდუალური ანგარიში. ნაშრომის მესამე თავზე მუშაობისას კრიმინოლოგიურ სახელმძღვანელოებთან ერთად, ძირითადად, გამოყენებულია ნორმატიული მასალა: სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მთავრობის დადგენილება N681, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის N235 ბრძანებულება და სხვა კანონქვემდებარე აქტები. აგრეთვე, იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N682 ბრძანების საფუძველზე განხილულია მიმდინარე წლის სიახლე, უვადოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა პიროვნების შესწავლის შესახებ, სპეციალურ პროგრამაში მონაწილეობის ფარგლებში.

გარდა ამისა, ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ინტერნეტ რესურსები. ამ მხრივ საინტერესო იყო ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა გვემსჯელა ძლადობრივი დანაშაულის პროგნოზირების საკითხზე.

აგრეთვე, აღსანიშნავია პროფესორ მორის შალიკაშვილისა და სხვათა ავტორობით შედგენილი სახელმძღვანელო პრობაციის სამართალი, რომელც ვრცლად საუბრობს პრობაციის სამსახურის როლსა და მნიშვნელობაზე მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში. სწორედ მითითებულ წყაროზე დაყრდნობით იქნა განხილული ევროპის ქვეყნების პრობაციის სისტემები და მათი ჩართულობის საკითხი სისხლის სამართლის სხვადასხვა სტადიაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნაშრომში აგრეთვე, მიმოხილულია სხვა უცხოური ლიტერატურა, საკანონმდებლო აქტები, სტატიები და დამხმარე სახელმძღვანელოები.

თავი 1. დამნაშავის პიროვნების შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები

1.1. დამნაშავის პიროვნების ცნება სტრუქტურა და არსი

დამნაშავის პიროვნების აქტუალობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, მაგალითად:

გ. ღლონტის რედაქტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში საუბარია, რომ დამნაშავის პიროვნების შესწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს დანაშაულობის კვლევაში. პიროვნული მიდგომა უზრუნველყოფს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც სხვა მეთოდების გამოყენებით ვერ იქნება დადგენილი. აქედან გამომდინარე, დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილებელი რგოლია იმ მოვლენებისა და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც ერთობლიობაში დანაშაულობის მთლიან სურათს ხატავენ და მასზე მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან.[1]

დამნაშავის პიროვნების საკითხზე საუბრისას ზაურ წულაია აღნიშნავს, რომ პიროვნების ფსიქიკური თვისებები, მისი ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭი იმთავითვე მოცემული კი არაა, არამედ პიროვნების მოქმედების პროცესში ვითარდება და საბოლოოდ ყალიბდება ცხოვრებაში. მაგრამ მეორე მხრივ, გარკვეული ფსიქიკური თვისება რომ ჩამოყალიბდეს, ამის შესაძლებლობა ორგანიზმს ნასახის სახით მაინც უნდა ჰქონდეს. ადამიანის პირადი ცხოვრება დიდადაა დამოკიდებული იმ საზოგადოებრივ პირობებზე, რომლებშიც იგი ცხოვრობს, ცხადია, პიროვნების ფსიქიკური თვისებების ჩამოყალიბებაც დამოკიდებულია მისი ცხოვრებისა და მოქმედების საზოგადოებრივ პირობებზე. ადამიანის პიროვნების ძირითად გამოვლენას

[1]ღლონტი გ., რედ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 97

წარმოადგენს მისი დამოკიდებულება გარემოსთან, მისი პოზიცია გარემოს მიმართ.[2]

ზ. წულაიას აზრით დამნაშავის პიროვნებაზე სოციალური გარემოს ზემოქმედების შესახებ საუბრისას, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რატომ ვხვდებით ერთსა და იმავე სოციალურ გარემოში, ან უფრო მეტიც ერთი და იმავე ოჯახში მცხოვრებ ადამიანებში პიროვნებათა მრავალფეროვნებას? ზაურ წულაიას მოსაზრებით, ასე იმიტომ ხდება, რომ თითოეული ადამიანი ვითარდება მიკროგარემოში, რომელშიც იგულისხმება: საქმიანობის სახეობა, „ქუჩა“, კოლექტივის თავისებურება, ოჯახი.[3]

თუმცა, ვფიქრობ, რომ ადამიანის ფსიქიკა, რომელიც თანდაყოლილი და განსხვავებულია ერთი და იმავე სოციალური ფენის წარმომადგენლებისთვის, არის უმნიშვნელოვანესი, რადგან მასზეა დამოკიდებული, როგორი მიმღეობა ექნება პიროვნებას კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტის მიმართ. ასევე მიგვაჩნია, რომ სწორედ ამიტომაა, რომ წარსულში განცდილი ძალადობის თუ სხვაგვარი დამცირების მიღების შემდეგ, ჩვენ არ ვიღებთ შედეგად ყოველთვის მოძალადე ადამიანს, არამედ ზოგ შემთხვევაში ყალიბდება პიროვნება, რომელსაც დაუოკებელი სურვილი უჩნდება დაიცვას სუსტები და იბრძოლოს ძალადობის წინააღმდეგ.

პროფესორი გ. ავანესოვის მოსაზრებით დამნაშავის პიროვნების სტრუქტურის შეცნობა გვეხმარება ვუპასუხოთ მთავარ შეკითხვას - რატომ გახდა ადამიანი დამნაშავე პიროვნება. პიროვნების სტრუქტურის შეცნობის გარეშე, შეუძლებელია გაუგო ანტისაზოგადოებრივი ქცევის მექანიზმს, აგრეთვე დანაშაულის ჩამდენ ადამიანს. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ყველა თვისება ორ ძირითად კატეგორიაში

---

[2] წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი. 2005, გვ. 80

[3] წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი. 2005, გვ.80

თავსდება: ადამიანი, როგორც ორგანიზმი და ადამიანი, როგორც პიროვნება.[4]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ კრიმინოლოგების მიერ დიდი ხანია უკვე კარგად არის შესწავლილი დამნაშავის პიროვნება და შემუშავებულია არაერთი თეორია, რომელზეც შეიძლება დაუსრულებლად ვისაუბროთ.

თუმცა მინდა მივაქციო ყურადღება, ერთ დეტალს რასაც შეიძლება ეწოდოს ხარვეზი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

მართალია პროფესორი ზაურ წულაია აკეთებს დანაშაულის ჩამდენი პირის შესახე განმარტებას, რომ - ესაა ადამიანი, რომელიც ბრალეულია სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ მართლსაწინააღმდეგო ანუ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენაში და რომელსაც ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა,[5] მაგრამ საქართველოს კანონმდებლობაში არსად გვხვდება დამნაშავის შესახებ საკანონმდებლო დეფინიცია, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ისევე როგორც სხვა სამართლებრივ აქტებში, მრავალგზის გვხვდება ტერმინი „დამნაშავე“. ყურადღებას მივაქცევ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულ განაჩენის განმარტებას, რომლის თანხმად, ეს არის – პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.[6] თუ მოცემულ განმარტებას გავიზიარებთ, დავასკვნით, რომ დამნაშავე ეს არის იგივე მსჯავრდებული პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. თუმცა აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ამტკიცებს სისხლის სამართლის კოდექსი, სადაც სიტყვა „დამნაშავე“ გვხვდება 29-ე მუხლში: მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს

[4] ავანესოვი გ., და სხვები, კრიმინოლოგია, მეოთხე გამოცემა, გადამუშავებული და შევსებული, თბილისი. 2007, გვ. 354.
[5] წულაია ზ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 77
[6] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-3, ნაწილი მე-14.

ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.[7] გაუგებარია, ვის გულისხმობს კანონმდებელი დამნაშავეში? პირს, რომელსაც სასამართლოს მიერ უკვე გამოტანილი აქვს გამამტყუნებელი განაჩენი თუ პირს, რომელიც ბრალდებულად არის ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში. გარდა ამისა, უნდა განვიხილოთ მესამე - დანაშაულის ფაქტზე წასწრების შემთხვევა, რა დროსაც პირი არ არის ბრალდებული ან მსჯავრდებული, უფრო მეტიც მოცემულ შემთხვევაში არც გამოძიებაა დაწყებული. აქვს კი, ამ დროს ადამიანს დამნაშავის შეპყრობის უფლება?

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.[8] თუ ამავე კანონმდებლობის ლოგიკას გავყვებით, როგორც ზემოთ აღვნიშნე დამნაშავე არის პირი, რომლის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: „ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით“. ამ შემთხვევაში პასუხგაუცემელია კითხვა, თუ ვის მოიაზრებს კანონმდებელი ტერმინში „დამნაშავე“. ვფიქრობ, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, როდესაც პირს, რომლის მიმართ განაჩენი არ არის გამოტანილი, უწოდა დამნაშავე.

მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებელი წინააღმდეგობაში მოვიდა საკუთარ მოსაზრებასთან და გამოიკვეთა ხარვეზი, რომელიც უნდა

[7] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 29-ე, ნაწილი 1-ლი.
[8] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-5, ნაწილი 1-ლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233 (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი -29.06.2021).

გამოსწორდეს, რადგან იგი იწვევს არა მხოლოდ დაბნეულობას, არამედ ეს არის უზუსტობა კანონმდებლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ „დამნაშავის“ დეფინიციას სისხლის სამართალის კანონმდებლობა არ აკეთებს, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მაინც განსხვავებული იქნებოდა კრიმინოლოგიური განმარტებისგან, რადგან საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელისთვის დამნაშავე პიროვნებაში მოიაზრება 14 წელს მიუღწეველი ადამიანიც, მაშინ როდესაც სისხლის სამართალი ასეთ შემთხვევაში, გამორიცხავს პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, დამნაშავის პიროვნების შესახებ კრიმინოლოგიური დეფინიცია ისედაც არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივი კონცეფციით, როგორც ეს არაერთ კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოშია დაფიქსირებული, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

1.2 დამნაშავის პიროვნება, როგორც კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტი

კრიმინოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის - დამნაშავის კვლევა. დამნაშავის პიროვნების კვლევა გამოწვეულია, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, ასევე დანაშაულის სისხლისსამართლებრივი შეფასებისთვის.[9]

პროფესორი ზ. წულაია დანაშაულის ჩამდენი პირის პრობლემას ერთ-ერთ ძირითად და შედარებით უფრო რთულ პრობლემად მიიჩნევს. ავტორი მიუთითებს, რომ დანაშაულობა, მისი წარმომშობი მიზეზები, ხელშემწყობი პირობები და განსაკუთრებით ინდივიდუალური

[9] Meier. B.-D., Kriminologie.3. Auflage, Munchen, 2007. S.140

დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი, შეუძლებელია შესწავლილ იქნას დამნაშავის პიროვნების გამოკვლევის გარეშე.[10]

პროფესორი რ. ჭოღოშვილი იზიარებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილებელი რგოლია იმ მოვლენების და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც ერთობლიობაში დანაშაულობის მთლიან სურათს ხატავენ და მასზე მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან.[11]

შევნიშნავთ, რომ კრიმინოლოგები წლების მანძილზე შეისწავლიდნენ დამნაშავის პიროვნებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ კვლევის ობიექტი გარკვეულ დრომდე არ ყოფილან იდენტობის დისოციაციური აშლილობის მქონე ადამიანები, რომლებზე დაკვირვებას წარსულში მხოლოდ ფსიქიატრები ან ფსიქოლოგები ახორციელებდნენ. გარდამტეხი და სენსაციური აღმოჩნდა ბილი მილიგანის სისხლის სამართლის საქმე, - ადამიანის, რომლის სხეულშიც 24 პიროვნება ცოცხლობდა. მწერალმა დენიელ კიზმა დოკუმენტურ წყაროებსა და თავად ბილი მილიგანის ინტერვიუებზე დაყრდნობით დაწერა წიგნი „ბილი მილიგანის მრავალი გონება“, რომელიც აბსოლუტურად რეალურ ფაქტებს აღწერს. სასამართლომ ბილი მილიგანის საქმეზე მიიღო პირველი პრეცენდენტული გადაწყვეტილება და იგი უდანაშაულოდ სცნო, ბრალად წარდგენილ არაერთი მძიმე დანაშაულის ჩადენაში და განმარტა, რომ იგი ფსიქიკურად დაავადებული პიროვნებაა, რომელიც ექვემდებარება ჰოსპიტალიზაციას.[12]

ვფიქრობ, სწორედ მსგავსი ფაქტები (იდენტობის დისოციაციური აშლილობის მქონე ადამიანები) უნდა გახდნენ კრიმინოლოგიის აქტიური კვლევის ობიექტები.

---

[10] წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 77

[11] ჭოღოშვილი რ., კრიმინოლოგია, თბილისი, 1995, გვ. 12

[12] კიზი დ., „ბილი მილიგანის მრავალი გონება“, მე-5 ქართული გამოცემა, ბათუმი, გვ. 475.

ამ დებულებას მივყავართ იმ აზრამდე, რომ კრიმინოლოგიამ თავის მეცნიერულ კვლევებში უნდა გამოიყენოს ტრანსცედენტული ცოდნა, ეტიოლოგია დისოციაციური აშლილობების მსგავს პრობლემებზე კარგად არის გაშუქებული რელიგიურ მოძღვრებებში.

1.3 დამნაშავის პიროვნების, ინდივიდუალობისა და დანაშაულის სუბიექტის ფუნქციონალური გამიჯვნის პრობლემა

აღნიშნულ საკითხზე საინტერესო ინფორმაციას ვაწყდებით არაერთ კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში, კერძოდ:

გ.ღლონტის რედაქტორობით გამოცემულ კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ დამნაშავის პიროვნების კვლევისას აუცილებელია მოვახდინოთ მისი გამიჯვნა დანაშაულის სუბიექტისა და პიროვნების ინდივიდუალობის ცნებისგან.

დამნაშავის პიროვნებაზე ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ ნაშრომის პირველ თავში, თუმცა დამატებით აღსანიშნავია, რომ დამნაშავის პიროვნების დახასიათება მთლიანობაში ყალიბდება ისეთი კომპონენტების გათვალისწინებით, როგორებიცაა დამნაშავის პიროვნების: 1. სოციალური სტატუსი; 2 როლი (ფუნქცია); 3. ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ნიშნები; 4. ბიოლოგიური ნიშნები; 5. ემოციურ-ნებელობითი ნიშნები, და 6. სისხლისსამართლებრივი ნიშნები.[13]

პროფესორი ზაურ წულაია კი, განსაზღვრავს ინდივიდუალობის ცნებას და ამბობს, რომ ეს არის ცოცხალი არსების განსაკუთრებულობა. ინდივიდუალობა ყოველი ორგანიზმის, ყოველი ცოცხალი არსებისთვის არის დამახასიათებელი. ადამიანის პიროვნება კაცობრიობის ხანგრძლივი საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა.

[13]ღლონტი გ., რედ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 100.

პიროვნების გაიგივება ინდივიდის ცნებასთან ადამიანის სოციალური ბუნების უგულებელყოფას ნიშნავს.[14]

შევნიშნავთ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებელი დანაშაულის სუბიექტის თვისებებსა და თავისებურებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პასუხიმგებლობის განსაზღვრის ეტაპზე და ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს მხედველობაში მიიღოს და შეაფასოს სასჯელის დანიშვნის დროს. თუმცა, ვფიქრობ, ნაკლებად ხდება პიროვნების ბიოგრაფიული ასპექტის გათვალისწინება. უფრო მეტად შეფასებას ექვემდებარება შემდეგი ნიშნები: ასაკი (სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი), შეურაცხაობა ასაკის გამო, შეურაცხაობა ფსიქიკური ნაკლის გამო, ნასამართლობა და ა.შ.

პროფესორი ზაურ წულაია განსაზღვრავს დამნაშავის პიროვნებისა და დანაშაულის სუბიექტის ერთმანეთთან დამოკიდებულებას და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი სამართლებრივი ცნებაა. იგი ვარაუდობს კანონით მკაცრად განსაზღვრული ნიშნების ერთობლიობას, რომელთა არსებობისას პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებისთვის, ე.ი განიხილება როგორც დამნაშავე.[15]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ კრიმინოლოგიური თვალსაზრისით დანაშაულის სუბიექტი განიხილება, როგორც დამნაშავე, მაშინ რატომ არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებელი ამ უკანასკნელის დეფინიციას?

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ ქვეყანას აქვს განსხვავებული კულტურა, რომელიც ლინგვისტურ ერთეულებსა და ცნებებში ჰპოვებს თავის განვითარებას განსხვავებულად. იდენტური ტერმინებებისა და ცნებების მრავალფეროვნება კი მეცნიერულ გააზრებაში

---

[14] წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 78-79.

[15]წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 83

დაბნეულობას იწვევს, მით უფრო „დამნაშავის“ სისხლისსამართლებრივი დეფინიციის არარსებობის იმ ფონზე.

ამგვარად, დამნაშავის პიროვნების, ინდივიდუალობისა და დანაშაულის სუბიექტის ფუნქციონალური გამიჯვნის პრობლემის აღმოსაფხვრელადაც, საჭიროა, პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდეს დამნაშავის პიროვნების შესახებ ერთიანი, კრიმინოლოგიური და სამართლებრივი გაგება.

1.4 დამნაშავის პიროვნების ტიპოლოგიის პრობლემა

კრიმინოლოგები კვლევების საფუძველზე განსაზღვრავენ დამნაშავე პიროვნების ტიპოლოგიას, რა დროსაც ისინი გამოჰყოფენ განსხვავებულ ტიპებს, შედეგად ვიღებთ მრავალფეროვან ჩამონათვალს, რაც ვფიქრობ, დამაბნეველია შესწავლის კუთხით. ამის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ რამდენილე მაგალითი:

გერმანელი მეცნიერი მერგენის მოსაზრებით, დამნაშავე პირი რამდენიმე ტიპოლოგიის მიხედვით არის კრიმინოლოგიაში დაყოფილი:

1. დამნაშავე და მტრის სურათი, რაც გულისხმობს, რომ ადამიანი დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებს მისი პიროვნული მტრის, ბოროტების, ქვეყნის მტრის წინააღმდეგ;
2. ბიოლოგიური ტიპოლოგია, რომელიც ცდილობს ანთროპოლოგიური საფუძვლებით და ადამიანის გენეტიკური კვლევით განსაზღვროს მისი დანაშაულებრივი საქმიანობა;
3. კონსტიტუციის ტიპოლოგია, რაც გულისხმობს, რომ ადამიანი მრავალფეროვანია და კომპლექსური - ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ ფაქტორებზე დამყარებული არსებაა, რომელიც მათი დინამიური თამაშის შედეგად ისეთია, როგორიც იგი არის.[16]

[16]Mergen, A., Die Kriminologie, Eine Systematische Darstellung. 3. Auflage, Munchen, 1995. S. 162.

გარდა ზოგადი ტიპოლოგიისა მერგენი ადგენს ტიპებს, რომლებიც დამნაშავის საფრთხის შემცველობის ხარისხის მიხედვით ჰყავს დაყოფილი და მათ განასხვავებს კრიმინალური შესაძლებლობებითა და საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით.[17]

პროფესორი ირაკლი გოძიაშვილი კი, გვთავაზობს დამნაშავის სამ განსხვავებულ ტიპს: 1. მოძალადე დამნაშავის ტიპი, რომელიც ხასიათდება ძირითადი ცხოვრებისეული ღირებულებებისადმი ანტინორმატიული, აგრესიული დამოკიდებულებით. ამგვარი პიროვნული ორიენტაციიდან გამომდინარე სჩადის ის ძალადობრივ დანაშაულს; 2. ანგარებით-მოძალადე დამნაშავის ტიპი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენელია. დამნაშავის ეს ტიპი ხშირად გამოიყენება, როგორც ძალადობითი დანაშაულის უშუალო შემსრულებელი, და 3. - დამნაშავის ანგარებითი ტიპი, რომელიც უარყოფს მატერიალური ფასეულობების ლეგიტიმური მიზნებით მოპოვებას.[18]

პროფესორი რევაზ ჭოღოშვილი წარმოგვიდგენს, აგრეთვე, განსხვავებულ ტიპოლოგიას და დამნაშავის დამოუკიდებელ ტიპად გამოყოფს პოლიტიკური დამნაშავის ტიპს, რომელიც თავის თავში აერთიანებს მეამბოხეებს, ტერორისტებს, მასობრივი არეულობების ორგანიზატორებს.[19]

დაბოლოს, როგორც ცნობილია, პოზიტიური კრიმინოლოგიის მამად წოდებულმა იტალიელმა ფსიქიატრმა, ჩეზარე ლომბროზომ, შეიმუშავა დამნაშავეთა შემდეგი კლასიფიკაცია: 1. დბადებით დამნაშავეები; 2. სულით ავადმყოფები; 3. ვნებიანი დამნაშავეები, და 4. შემთხვევითი დამნაშავეები[20]

---

[17]Mergen, A., Die Kriminologie, Eine Systematische Darstellung. 3. Auflage, Munchen, 1995. S.170.
[18]ღლონტი გ., რედ., კრიმინოლოგია და სამართლებრივ სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 109.
[19] ჭოღოშვილი რ., კრიმინოლოგია, თბილისი, 1995, გვ. 47.
[20] წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 183-184.

წინამდებარე თავში წარმოვადგინეთ სხვადასხვა კრიმინოლოგების მიერ შემოთავაზებული სრულიად განსხვავებულ ტიპოლოგია, თუმცა რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია. შემუშავებულია დამნაშავის პიროვნების მრავალი სხვა ტიპოლოგიაც სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მართალია, რომ ასეთი სახის ტიპიზაციები აფიქსირებენ დამნაშავე პიროვნების განსაკუთრებულ ნიშან თვისებებს, მაგრამ ყველა განსხვავებულად, რაც ერთის მხრივ მნიშვნელოვანია კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მაგრამ ასეთი მრავალფეროვნება ამავდროულად დამაბნეველიცაა.

მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი ტიპოლოგია რთულია აღსაქმელად და გასააზრებლად. ვფიქრობთ, რომ დამნაშავის ტიპები დაჯგუფდეს საერთო ნიშნების მიხედვით სისიხლის სამართლის დანაშაულების სახეების მიხედვით.

ასეთი მიდგომა გამარტივდებდა, როგორც დანაშაულის პრევეციას, ასევე პროგნოზირების დამნაშავის პიროვნებასთან მიმართებაში.

თავი 2. დამნაშავის პიროვნება, როგორც ინდივიდუალური კრიმინალური ქცევის გამომწვევი მიზეზების მატარებელი

2.1. სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების თანაფარდობა დამნაშავის პიროვნებაში

დამნაშავის ბიოლოგიურ ფაქტორებზე საუბარი, ვფიქრობ, უნდა დავიწყოთ ჩეზარე ლომბროზოს თეორიით. ლომბროზომ, იტალიელმა ფსიქიატრმა და ანთროპოლოგმა 1876 წელს გამოსცა ნაშრომი „დაბადებით დამნაშავე“ და წამოაყენა თეორია, რომ შეიძლება დამნაშავის წინასწარი დადგენა მისი გარეგნობიდან გამომდინარე და დამნაშავეობა გენეტიკური მოვლენაა.[21]

ლომბროზოს თეორიის ძირითადი იდეა ისაა, რომ მას დამნაშავე წარმოდგენილი ჰყავს განსაკუთრებულ ფენომენად, რომელიც ავადმყოფი უფროა, ვიდრე დამნაშავე.[22]

მიუხედავად იმისა, რომ ლომბროზოს თეორია, უარყოფილია, ვფიქრობ, მაინც არ შეიძლება გენეტიკური ფაქტორის გაუთვალისწინებლობა და დანაშაულის მხოლოდ სოციალურ ფაქტორებთან დაკავშირება. ამასთან, როგორც აღვნიშნე, ლომბროზო დამნაშავეებს უწოდებდა ავადმყოფებს. ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას, რადგან ავადმყოფი შეიძლება ვუწოდოთ ადამიანს, რომელიც ვერ აკონტროლებს მის ნებას ან დაუოკებელი სურვილი აქვს ჩაიდინოს დანაშაული. თუმცა ჩვენთვის ცნობილია დამნაშავეთა სხვა მრავალი ტიპი, რომელთათვის დანაშაულის ჩადენა შეიძლება გამოუვალი მდგომარეობა იყოს, ან მიმბაძველობის მოტივით განპირობებული. შესაბამისად, ვფიქრობ, ავადმყოფი შეიძლება ეწოდოს არა ყველას, არამედ მხოლოდ გარკვეული კატეგორისს დამნაშავეებს, რომლებსაც აქვს ფსიქიკური დაავადებები.

---

[21] Schneider H.,J., Krimilogie, Berlin/New York, 1987. S..503

[22] გაბუნია მ., შესავალი კრიმინოლოგიაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, გვ. 88.

კრიმინოლოგიაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში პიროვნების სოციალური როლი და სტატუსი მნიშვნელოვანია. სოციალური როლი არის ინდივიდის რეალური სოციალური ფუნქცია, რომელიც განპირობებულია საზოგადოებაში მისი მდგომარეობითა და განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფებთან, ხალხებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, კერძო ფირმებთან კუთვნილებით.[23]

მეცნიერთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალური ფაქტორი არის უმთავრესი ადამიანის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში და მხოლოდ ბიოლოგიურ ფაქტორებზე დაყრდნობით დამნაშავის პიროვნების შეფასება დაუშვებელია. მართალია, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური გარემო უმნიშვნელოვანესია, თუმცა რომ არა ბიოლოგიური, გენეტიკური ფაქტორის როლი, მაშინ ჩვენ არ მივიღებდით ერთი და იმავე სოციალური გარემოდან, უფრო მეტიც იგივე ოჯახიდან გამოსული ორი ადამიანიდან მხოლოდ ერთ დამნაშავეს.

ვფიქრობ, ადამიანის გენეტიკური ფაქტორი უფრო რთულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ის დაკავშირებულია ადამიანის ფსიქიკასთან, ფიზიოლოგიასთან, რომლის შეცვლა შეუძლებელია. ასევე, საყურადღებოა თანდაყოლილი პათოლოგიური პრობლემების შესწავლა ადამიანებში. რაც შეეხება, სოციალურ ფაქტორს, დიახ, ადამიანი ვითარდება სოციალურ გარემოში, ზოგჯერ სწორედ ეს გარემოა დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი. თუმცა, ამ შემთხვევაში უფრო მარტივია სოციალური გარემოს შეცვლით გამოსწორდეს პიროვნება, ვიდრე შეიცვალოს მისი გენეტიკური და მისგან განპირობებული ფსიქიკური მდგომარეობა.

[23] გაბუნია მ., შესავალი კრიმინოლოგიაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, გვ. 93.

2.2. დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი და მოტივაციური ფაქტორები

როგორც ცნობილია, დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის ქვეშ იგულისხმება შინაგანი (სუბიექტური) და გარეგანი (ობიექტური) ფაქტორების ურთიერთქმედება, რომლის შედეგადაც ხდება დანაშაულის მოტივის ფორმირება, მიიღება დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და გამომუშავდება შესაბამისი განწყობა მის განხორციელებაზე. სუბიექტურ ფაქტორებს განეკუთვნება მოთხოვნილება, შესაძლებლობა, „მე-ს" კონცეფცია, ზნეობრივი და სამართლებრივი ცნობიერება. ობიექტური ფაქტორებია მოთხოვნილების ობიექტი, დანაშაულის ჩადენის სიტუაცია, საზოგადოებრივ აზრი და სამართლებრივი კონტროლი.[24]

პროფესორი თამაზ შავგულიძე ასევე იზიარებს „მე-ს" კონცეფციას. იგი გვთავაზობს დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების საინტერესო სქემას. მეცნიერი აზრით, ამ დროს მონაწილეობს სუბიექტური და პიროვნების ფსიქიკაში ასახული ობიექტური ფაქტორები. სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება პიროვნების მოთხოვნილება, შესაძლებლობები, მისი მე-ს კონცეფცია და მართლშეგნება; ობიექტურ ფაქტორებს განეკუთვნება მოთხოვნილების ობიექტი, სიტუაცია, საზოგადოებრივი აზრი.[25]

შეიძლება ითქვას, რომ ჩაიდენს თუ არა ადამიანი დანაშაულს დამოკიდებულია ორივე ფაქტორის ზეგავლენაზე, თუმცა მნიშვნელოვანია ასევე, ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც. შესაძლოა პიროვნებას ჰქონდეს სურვილი და მოთხოვნილება ჩაიდინოს დანაშაული, მაგრამ არ ჰქონდეს შესაძლებლობა ან გამბედაობა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა პროფესორი ირაკლი გოძიაშვილის მოსაზრება. იგი განმარტავს „მე-ს" კონცეფციას და აღნშნავს, რომ ასეთ დროს დამნაშავე ამართლებს საკუთარ ქცევას და წარმოაჩენს სოციალურად

---

[24] ღლონტი გ., რედ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 111.

[25] იგივე.

ნეიტრალურად. ეს ხდება იმისთვის, რომ ადამიანმა დანაშაულებრივი ქცევის დროს არ დაკარგოს საკუთარი თავის პატივისცემა. დამნაშავის ტერმინოლოგიაც კი ყოველთვის სხვა სოციალურად ნეიტრალურ სახელს არქმევს თავის დანაშაულებრივ ქცევას, მაგალითად, მოიპარა კი არა - აიღო, მოკლა კი არა გაასაღა და სხვ.[26]

აღნიშნულ საკითხზე საინტერესოა, კლეპტომანის ფენომენი. რა ხდება კლეპტომანი დამნაშავეების შემთხვევაში, რა არის მათი ქცევის მექანიზმი და მოტივი? როგორც ვიცით, კლეპტომანია ეს არის იმპულსების კონტროლის დარღვევათა ჯგუფში შემავალი დაავადება და რომლის ძირითადი მახასიათებელი შედგება მოპარვის იმპულსების კონტროლის განმეორებითი სირთულით.[27]

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში კლეპტომანიის შესახებ ძალიან ცოტა ინფორმაციაა მოცემული. სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს მითების შექმნას მათ შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ მათ შესანიშნავად შეუძლიათ გააკონტროლონ ქურდობის სურვილი, თუმცა აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება. მათთვის ისევე აუცილებელია ქურდობის ჩადენა, როგორც აზარტული მოთამაშისთვის. ამიტომ ზოგჯერ კამათობენ, უნდა კლასიფიცირდეს თუ არა იგი ობსესიურ-კომპულსიური[28] აშლილობის ნაწილში.[29]

ვფიქრობ, კრიმინოლოგების მიერ ეს საკითხი სრულყოფილად უნდა იქნას გამოკვლეული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კლეპტომანებს შორის გვხვდებიან სოციალურად მაღალი ფენის წარმომადგენლები, რომლებსაც

---

[26] გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 117.

[27] https://ka.warbletoncouncil.org/cleptomania-robo-mitos-trastorno-7914#menu-10 (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021)

[28] ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა(ოკა) არის ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც ახასიათებს განმეორებითი, რეციდიული, აკვიატებული აზრები. https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/06/08/33a13cff07ac64aac9ff2badfc2a5ca1.pdf (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი -29.06.2021)

[29] https://ka.warbletoncouncil.org/cleptomania-robo-mitos-trastorno-7914#menu-10 (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021).

აქვთ საშუალება თავისუფლად შეიძინონ ის ნივთი, რომელსაც ფარულად ეუფლებიან, თუმცა ისინი როგორც ჩანს პროცესით იღებენ სიამოვნებას.

საგულისხმოა, რომ მათ არ გააჩნიათ ანგარებითი მოტივი, განსხვავებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების ჩამდენი პირებისგან. გამომდინარე აქედან ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: საიდან მოდის ეს გადაულახავი ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი? მიმაჩნია, რომ მოცემულ საკითხის ცოდნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რადგან კლეპტომანი დამნაშავის, როგორც ავადმყოფის მიმართ სასჯელის გამოყენებას არანაირი შედეგი არ აქვს.

2.3.დამნაშავის პიროვნება და ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირება

კრიმნოლოგიისს სახელმძღვანელოებში აღნიშნულია, რომ დანაშაულობის პროგნოზირება ესაა დანაშაულობის ტენდენციებისა და კანონზომიერებათა შესაძლებელი ცვლილებების სამომავლო განჭვრეტა. რომლის ძირითადი მიზანია იმ საერთო მაჩვენებლების დადგენა, რომლებიც დაახასიათებენ მომავალში დანაშაულობის განვითარებას, მის უარყოფით და დადებით ტენდენციებს, რაც თავის მხრივ საფუძვლად დაედება იმას, რომ გამაფრთხილებელი საქმიანობა წარიმართოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის საჭირო მიმართულებით.[30]

პროფესორი ზაურ წულაია დანაშაულობის პროგნოზირების სირთულეს უკავშირებს თვით პროგნოზირების ობიექტს და აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში მეტისმეტად ძნელია და რთული მიაღწიო აბსოლუტურ ზუსტ პროგნოზს ამა თუ იმ დარგში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ

[30] წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 158.

მიზანშეუწონელია დანაშაულობის პროგნოზის შედგენა. ის პროგნოზიც კი, რომელიც ნაწილობრივ მართლდება, საჭიროა და სასარგებლო.[31]

ზ. წულაია განმრატვს, რომ დანაშაულებრივი ქცევის ინდივიდუალური პროგნოზირების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებმაც წარსულში უკვე ჩაიდინეს დანაშაული ან სხვა ანტისაზოგადოებრივი ქცევა. დანაშაულებრივი ქცევის ინდივიდუალური პროგნოზირების როლი სწორედ იმაშია, რომ აღნიშნულ პირთა კონტიგენტიდან განისაზღვროს ისინი, რომელთა მიმართაც აუცილებელია ინდივიდუალური გამაფრთხილებელი მუშაობის ჩატარება, რათა მათი მხრიდან კვლავ არ მოხდეს დანაშაულის ჩადენა.[32]

კრიმინალური პროგნოზი კრიმინალური მოვლენებისა და პროცესების შესახებ ვარაუდის შედეგია, რომელიც ემპირიული მონაცემების ანალიზს ეფუძნება და წარსულიდან აწმყომდე და აწმყოდან მომავლამდე საზოგადოების განვითარების ტენდენციებს ითვალისწინებს. კრიმინალური პროგნოზის დროს საქმე გვაქვს ალბათობითი ტიპის ფრაზებთან პირის სამომავლო ლეგალური ქმედების შესახებ. წარსულისა და აწმყოს კრიმინოლოგიური კვლევის გარეშე კრიმინალური პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია.[33]

დანაშაულის პროგნოზირებაზე საუბრისას, მინდა მიმოვიხილო ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი დამნაშავეები, რომელთა ქცევის პროგნოზირება შედარებით ადვილია, ვინაიდან ძალადობრივი დანაშაული ხშირად განმეორებითი ხასიათისაა. დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირება კიდევ უფრო მარტივი ხდება, როდესაც საქმე გვაქვს ოჯახში

---

[31] წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 159

[32]წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 161.

[33]შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე, დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 2

ძალადობის ჩამდენ პირთან. ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება - ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან და დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე.[34]

ხშირ შემთხვევაში, როგორც წესი მსხვერპლის სურვილი იმწუთიერი ძალადობის შეწყვეტაა და იგი ვერ ფიქრობს სამომავლო შედეგებზე. თუმცა თუ ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის ქმედება დაუსჯელი დარჩა, დამნაშავე აუცილებლად გაიმეორებს მას. სწორედ ამიტომ აუცილებელია მოძალადის მიმართ გარკვეული ღონისძიებების განხორციელება, რათა მან შეიგნოს თავისი ქმედების დანაშაულებრიობა და სამომავლოდ მისი მხრიდან გამორიცხული იყოს ძალადობის ხელახალი განხორციელება.

მეუღლის მხრიდან ყველა სახის ძალადობის თვალსაზრისით, კვლევის თანახმად, ქალები უფრო მეტი ალბათობით განიცდიან განმეორებითი ხასიათის ძალადობის აქტებს, ვიდრე ძალადობის ერთჯერად გამოვლინებებს. ამას ადასტურებს სხვა კვლევებიც, რომელთა მიხედვით ქალები ხშირად განიცდიან ძალადობის განმეორებით აქტებს და ძალადობის ფორმებიც მძიმე ხასიათს ატარებს, რაც ურთიერთობებში ძალადობის ტენდენციაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე ცალკეულ ინციდენტებზე.[35]

საერთო ჯამში, კვლევამ დაგვანახა, რომ ქალები უფრო მეტი ალბათობით განიცდიან განმეორებითი ხასიათის ძალადობის აქტებს, ვიდრე ძალადობის ერთჯერად გამოვლინებებს, შესაბამისად, ამ მოცემულობით პროგნოზირების გაკეთება შედარებით მარტივია.

---

[34]საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“ - ოჯახური ძალადობა, სოციალ-პოლიტიკური ასპექტები, საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები, 2006, გვ. 7-8.

[35]ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, გვ. 45 www.gender.geostat.ge (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.06.2021)

გარდა ზემოაღნიშნულისა, დამნაშავის ქცევის პროგნოზირებაზე საუბრისას, მინდა გამოვყო ინტროვერტი და ექსტრავერტი პიროვნებები. ინტროვერტი ადამიანები დაინტერესებულნი არიან საკუთარი ფსიქიკური მე-თი. მათ სჭირდებათ ბევრი პირადი სივრცე. გარდა ამისა, ისინი თავს კომფორტულად და ენერგიულად გრძნობენ, როდესაც მარტონი არიან. ამრიგად, მათ სოციალურ ურთიერთობებს მარტოობა ურჩევნიათ. ხოლო, ექსტრავერტები კი, იკვებებიან ადამიანების გამოხმაურებებით და მათ გარშემო მომხდარი მოვლენებით. ისინი სოციალურად თავდაჯერებულები და გამოხატულები არიან.[36]

ჩემი აზრით, ინტროვერტი პიროვნებებისთვის უფრო ხელსაყრელია დანაშაულის ჩადენა ფარულად, მათგან არ უნდა ველოდოთ საზოგადოებისთვის აშკარა ქმედებებს. ხოლო, ექსტრავერტი დამნაშავისთვის, ვფიქრობ, მოსალოდნელია უფრო მკაფიო ქმედებები, საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადგილზე. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ თაღლითებს შორის ხშირად გვხვდებიან ექსტრავერტი დამნაშავეები, რომლებიც ფლობენ კომუნიკაციის ხელოვნებას და ადვილად მოიპოვებენ ნდობას.

დამნაშავის ქცევის პროგნოზირების საკითხი, ვფიქრობ, დაკავშირებულია დამნაშავე პიროვნების ტიპოლოგიასთან. სწორედ იქიდან გამომდინარე თუ, რომელი ტიპის დამნაშავესთან გვაქვს საქმე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა დანაშაულს ჩაიდენს იგი სამომავლოდ. როგორც აღვნიშნე პროგნოზირების ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან იგი დამოკიდებულია თავად ამ პიროვნების მართლშეგნებაზე, თუმცა ვარაუდის მაღალი ხარისხით შეიძლება ითქვას, რომ მოძალადე დამნაშავის ტიპისგან მოსალოდნელია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების ჩადენა; ანგარებითი დამნაშავის ტიპისგან - საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და ეკონომიკური დანაშაულებების, ხოლო

[36] https://www.16personalities.com/articles/mind-introverted-vs-extraverted
(უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021)

ანგარებით-მოძალადე ტიპის ქცევა მიმართულია როგორც ძალადობის გამოვლინების, ასევე, მატერიალური სარგებლის მიღებისკენ, შესაბამისად მისგან უფრო მეტად უნდა ველოდოთ ორგანიზებული დანაშაულობის ჩადენას.

2.4 დამნაშავის პიროვნების სოციალიზაციის პრობლემა კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში

ვფიქრობ, ნებისმიერ პიროვნებას უფლება აქვს დაუბრუნდეს პატიოსან ცხოვრებას და გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, თუმცა რეალობაში, ხშირად ასე არ ხდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც საზოგადოების დამოკიდებულება ასევე, თავად ამ პიროვნების ქცევა.

პროფესორი ირაკლი გოძიაშვილი აღნიშნავს, რომ პიროვნების ფორმირება ხდება არა ზოგადად ადამიანთა საზოგადოებაში, არამედ კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში.[37] რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები ეწინააღმდეგებიან გაბატონებულ ინსტიტუციონალურ ღორებულებებს? პროფესორი აღნიშნავს, რომ ასეთ დროს მათ მიერ იქმნება სუბკულტურები, რაც ასევე, დაკავშირებულია სახელმწიფოს არარსებობასთან.[38] პროფესორ არნოლდის მოსაზრების მიხედვით, სუბკულტურა არის კულტურის ერთი ნაწილი. იგი არის ადამიანთა ჯგუფის ან ერთი რომელიმე სოციალური კატეგორიის ქცევის მოდელი, რომელიც ხორციელდება მთლიანი კულტურის შიგნით და საკუთარი თავისებურებანი გააჩნია.[39] სუბკულტურებში ჩართულობის მოტივაცია ზოგიერთისთვის შეიძლება იყოს კომპენსაცია იმ წარუმატებლობისა და წყენისა, რაც მათ საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან შეხვდათ.[40]

---

[37] გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი, 1998, გვ. 135
[38] იგივე, გვ. 136
[39] Arnold D. O., The Sociologie of subcultur, Berkeley/Cal, 1970. S.3
[40] Schwendter R., Theorie Der Subkultur,4 Auflage, Hamburg, 1993. S. 11

გერმანელი პროფესორი კაიზერის მოსაზრებით, დამნაშავე წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოხდება მისთვის დამნაშავის ეტიკეტის მინიჭება სოციალური კონტროლის ინსტიტუტების მეშვეობით და იგი აღიარებული იქნება საზოგადოების მიერ დამნაშავედ.[41] თუმცა, ვფიქრობთ, რომ სოციალიზაციის პრობლემა მხოლოდ საზოგადოების მიუღებლობას ან სახელმწიფოს არ უნდა დავუკავშიროთ. ადამიანებს აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება სუბკულტურაში ჩართვასა და საზოგადოებაში სოციალიზაციას შორის. პიროვნებები, ხშირად თვითონ უარყოფენ ზნეობრივ და სამართლებრივ ფასეულობებს, ხოლო ასეთი ადამიანები, ვფიქრობ, სამართლიანად არიან მიუღებელნი საზოგადოებისთვის, რადგან ჯანსაღი სოციალური გარემოს შექმნისთვის პირველ რიგში უსაფრთხოებაა აუცილებელი.

პროფესორ კოგანის მიხედვით, პიროვნება აქტიურად გამოდის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დადგენილებების წინააღმდეგ, რომლებიც გამოხატულია და განმტკიცებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ასეთი წინააღმდეგობების არსი კი გამოიხატება, ერთი მხრივ, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის არასწორ დამოკიდებულებაში, ხოლო, მეორე მხრივ, პიროვნების მიერ რეალობაში სპეციფიური ანტისაზოგადოებრივი როლის - დანაშაულის ჩადენის შესრულებაში.[42]

მნიშვნელოვანია, პიროვნებამ დაიცვას საზოგადოებაში მიღებული წესრიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაირიყება და უარყოფილი იქნება საზოგადოების მხრიდან. თავად დამნაშავის პიროვნების სურვილი და მოტივაციაა მთავარი დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, თუმცა რა თქმა უნდა სახელმწიფოც ვალდებულია მიმართოს რესურსი მათ დასახმარებლად და სარეაბილიტაციო პროგრამების დაფინანსებისკენ.

---

[41] Kaiser G., Kriminologie, Eine Einfuhrung in die Grundlagen, Heidelberg, 1997, გვ. 275

[42] კოგანი ვ., მ., დამნაშავეობის სოციალური თვისებები, 1977, გვ.32.

სახელმწიფომ შეიძლება წამოიწყოს პროგრამა, გაიღოს ფინანსური და ადამიანური რესურსი, თუმცა თავად დამნაშავეების ნება ჩაერთონ მსგავს ღონისძიებაში არის უპირველესი. სწორედ ადამიანის პიროვნება შეიძლება გახდეს ხელისშემშლელი ფაქტორი მსგავსი პროგრამების განხორციელებაში. ან, შესაძლოა პიროვნებას არა მხოლოდ არ სურდეს ინტეგრირდეს საზოგადოებაში, როგორც სრულუფლებიანი წევრი, არამედ მას მოსწონდეს კიდეც დამნაშავის სტატუსი.

თავი 3. დამნაშავის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები

3.1. არასრულწლოვნის ქცევის ინდივიდუალური პროფილაქტიკა

აუცილებელია, არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებების შერჩევა და გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს მოზარდის პიროვნებისა და მისი დეფორმირებული ქცევის დონეს. ვფიქრობ, პირველ რიგში დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვნების მიმართ, ორიენტირებული უნდა იყოს პიროვნული ხასიათის და სოციალური გარემოს ცვლილებისკენ.

პროფესორ ზ. წულაიას მოსაზრებით, ღონისძიებები, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილებისკენ, სრულყოფილად უნდა მოიცვას ისეთი სისტემის გააზრება, რაც მოიცავს სამოქმედო ობიექტის დადგენას, ამ ობიექტზე დანაშაულობის გავრცელების დონეს, ამ დონის დასაწევად გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრას, ღონისძიებათა გამტარებელ სუბიექტებს, თავიდან აცილების ღონისძიებათა რეალიზაციის თანმიმდევრობას, მათი მოქმედების მაშტაბებს.[43]

პროფესორი მორის შალიკაშვილი კი, აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკისთვის მნიშვნელოვანია საერთო-სოციალური პრევენცია: ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი ღონისძიებები, რომლებიც პირდაპირ გამიზნულია განსახილველი ასაკობრივი ჯგუფებისთვის. მაგალითად: ახალგაზრდების შრომითი მოწყობის შეღავათიანი პირობები, ბავშვებისა და მოზარდებისთვის საყოველთაო სავალდებულო სწავლების დაწესება და სხვა.

---

[43] წულაია ზ., კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005, გვ. 171.

ასევე, ავტორი გამოყოფს პრევენციის სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უშუალოდ მიმართულია მოზარდებს შორის დანაშაულის პროფილაქტიკისკენ. მათი სპეციალური დანიშნულებაა ზემოქმედების მოხდენა არა მარტო იმ ფაქტორებზე, რომლებიც დეტერმინირებენ დანაშაულობას, არამედ იმ სუბიექტებზეც, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული ან შეუძლიათ ჩაიდინონ იგი მომავალში მათთვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებების ძალით.[44]

აღნიშნულმა ღონისძიებებმა უნდა მოიცვას უშუალო ხასიათის გამაფრთხილებელი ღონისძიებებიც. მაგალითად არასრულწლოვნებზე მიმართული აღმზრდელობითი და გარდაქმნითი ზემოქმედების ღონისძიებები, არასრულწლოვანთა ისეთ ქცევებზე რეაგირება, რაც უყურადღებობის შემთხვევაში შეიძლება დანაშაულში გადაიზარდოს, იმ ფაქტორთა აღმოფხვრის ღონისძიებები, რომლებმაც გამოიწვია არასრულწლოვნების მიერ მორალური და სამართლებრივი ნორმების დარღვევა.

პროფესორი ირაკლი გოძიაშვილი გამოჰყოფს არასრულწლოვნებში რეიციდივის თავიდან აცილების ღონისძიებებს, რომლის საფუძელზეც საჭიროა განხორციელდეს აღმზრდელობითი ზემოქმედება, კონტროლი და სოციალური დახმარება იმ არასრულწლოვნებზე, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული. ასევე, დროული რეაგირება იმ ფაქტორებზე, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, ქმედითი დახმარების აღმოჩენა და მუდმივი კონტროლის დაწესება იმ არასრულწლოვნებზე, რომელთა მსჯავრდება დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.[45]

---

[44] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 231.

[45]ღლონტი გ., რედ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 311

არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილების ღონისძიებების შერჩევა და გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს მოზარდის პიროვნებას, მისი ქცევისა და ინტელექტის დონეს. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნე ინდივიდუალური მიდგომის მოთხოვნა განმტკიცებულია ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმით, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებითა და სხვა საერთაშორისო აქტებით.

არასრულწლოვანთა სამართალდამრღვევი ქცევის პროფილაქტიკის ფუნქციებს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მოცულობით ასრულებენ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები, კულტურის დაწესებულებები, შრომითი კოლექტივები და სხვა.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების N235 თანახმად, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად ამისა, ამ დრომდე არ არსებობდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია და დანაშაულის პრევენციის მაკოორდინირებელი ორგანო. ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების აუცილებლობა, სხვადასხვა უწყებაში მოქმედი ცალკეული პრევენციული პროგრამების განვითარებისა და დახვეწის საჭიროება დაედო საფუძვლად სტრატეგიის შემუშავებას. სტრატეგიაში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები დაყოფილია მიზნობრივი ჯგუფისა და პრობლემის განვითარების სტადიის მიხედვით.[46]

არასრულწლოვან დამნაშავეებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია არ გამოგვრჩეს არასრულწლოვნები 7-დან 14 წლამდე. მართალია, სსკ გამორიცხავს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას 14

[46] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N235, 2012 წლის 22 მარტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1617344?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 15.06.2021)

წლამდე ასაკის პირისთვის, თუმცა კრიმინოლოგიური თვალსაზრისით იგი მაინც ითვლება დამნაშავე პიროვნებად და ესაჭიროება პროფილაქტიკა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N681 დადგენილებით დამტკიცდა არასრულწლოვანთა რეფერირების წესი. დადგენილების თანახმად, მიზნის მისაღწევად განხორციელებული ყველა ღონისძიება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის, მისი ჰარმონიული განვითარების, ინდივიდუალური მიდგომის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და არასრულწლოვნის მონაწილეობის პრინციპებს. დადგენილი წესი ვრცელდება, როგორც 18 წლამდე არასრულწლოვნებზე, ასევე - 7-დან 14 წლამდე ასაკის იმ არასრულწლოვნებზე, რომლებთან მიმართებაშიც კომპეტენტური უწყებების მიერ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.[47]

ვფიქრობ, პროგრესული მიგნებაა სკრინინგ კითხვარი, რომელიც წარმოადგენს ცენტრის მიერ შემუშავებული კითხვარს, რომელიც გამოიყენება რეფერირების სისტემაში მონაწილე დაწესებულებების მიერ რთული ქცევის იდენტიფიცირებისა და ცენტრში არასრულწლოვნის გადამისამართების საჭიროების განსაზღვრისთვის.[48] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას – საქართველოს პროკურატურა, ცენტრის მიერ შემუშავებული სკრინინგ კითხვარის მიხედვით ახდენენ რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის შესახებ ცენტრის ინფორმირებას, შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდებასა და არასრულწლოვნის ცენტრში გადამისამართებას.[49]

---

[47] მთავრობის დადგენილება N 681, 31.12.2019, მუხლი 1-ლი, პუნქტი 3,4,5.
[48] მთავრობის დადგენილება N 681, 31.12.2019, მუხლი 1-ლი, პუნქტი „ო“.
[49] მთავრობის დადგენილება N 681, 31.12.2019, მუხლი მე-4, პუნქტი 1-ლი, ქვეპუნქტი „ა“.

ვფიქრობ, კარგი იქნებოდა სკრინინგ კითხვარის გამოყენება ხდებოდეს აგრეთვე, სკოლებში 7-18 წლამდე ასაკის ბავშვებში, შედეგად, შესაძლებლობა გვექნებოდა გამოგვევლინა რთული ქცევის ბავშვები, ხოლო იდენტიფიცირების შემდეგ არასრულწლოვანთან მუშაობაში ჩაერთვებოდა ფსიქოლოგი.

მივესალმები სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს, თუმცა ვიზიარებ ფროიდის მოსაზრებას, რომ „დამნაშავის ფესვები უნდა ვეძებოთ მის აღზრდაში“. პირველ რიგში ბავშვის ფორმირება ხდება ოჯახში, კერძოდ, ყალიბდება ხასიათი, თვისებები, დამოკიდებულებები კონკრეტული საკითხების მიმართ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბავშვები ადვილად დაისწავლიან სხვადასხვა ქცევას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მშობელმა თავიდანვე გაითვალისწინოს ეს ასპექტი და ეცადოს ბავშვი ამყოფოს უსაფრთხო გარემოში. ყველაზე ეფექტური პრევენცია, ვფიქრობ ეს არის ბავშვის სწორი აღზრდა, რაც აუცილებლად უნდა მოიცავდეს მის მიმართ აკრძალვების დაწესებასა და წესების შემოღებას. მიმაჩნია, რომ ბავშვობის ადრეულ ასაკში ამ მეთოდით, განხორციელებული პროფილაქტიკა არის უპირობოდ მნიშვნელოვანი, რომელსაც ვერ შეედრება ვერცერთი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საპრევენციო ღონისძიება.

3.2. დამნაშავის პიროვნება და სასჯელის დანიშვნა

სასჯელის დანიშვნა მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ისეთი სახის სასჯელი, რომელიც ეფუძნება „დამსახურებული სასჯელის თეორიას“, რომლის თანახმადაც ბრალდებულს უნდა დაეკისროს, ის

სასჯელი რაც მანდ დაიმსახურა, ცხადია, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით.[50]

მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი თითოეული ადამიანი სასჯელს იღებს დამსახურებულად. აქედან გამომდინარე სასჯელი დანაშაულთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მის გარეშე არ არსებობს, ამიტომ სასჯელი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია.[51] მოსამართლე დამნაშავისთვის სასჯელი დანიშვნის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით, რა დროსაც ითვალისწინებს როგორც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ასევე დამნაშავის პიროვნებას, მის მიერ წარსულში ჩადენილ დანაშაულებს, გამოძიებასთან თანამშრომლობას და ა.შ.[52]

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია, რომლის მე-7 მუხლი ცალსახად ადგენს, რომ კანონის გარეშე არ შეიძლება დაინიშნოს არავითარი სასჯელი. „არავინ შეიძლება ბრალეულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.“[53]

სასჯელი, როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულებითი ღონისძიებაა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. იძულებითი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი

---

[50] გაბისონია ი., ჟურნალი „იურისტი“, სტატია „ბრალდებული, მსჯავრდებული თუ დამნაშავე?!“ თბილისი, 2017, გვ. 81.
[51] დონჯაშვილი თ, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 360
[52] იგივე.
[53] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950, მუხლი მე-7.

სავალდებულოა შესაბამისი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. თავისი შინაარსით სასჯელი გამოხატულია პირისთვის უფლებების და თავისუფლებების ჩამორთმევაში, მაგრამ, იგი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის მიყენებული ზიანის გამოსყიდვას.[54]

სასამართლოს ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა სასჯელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. მან ერთის მხრივ უნდა მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება, რომელიც მეორეს მხრივ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დამნაშავის პიროვნებასთან. როდის ითვლება სასჯელი სამართლიანად? სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.[55]

დამნაშვის პიროვნებასთან სასჯელის შესაბამისობაზე საუბრისას პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ სასჯელის მიზნები - ეს არის სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.[56] კანონმდებლობაში ჩვენ არაერთხელ გვხვდება ჩანაწერი, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით მოახდინოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა კონკრეტულად ვის მიერ, რა მეთოდოლოგიით უნდა მოხდეს დამნაშავის პიროვნების შესწავლა, მოითხოვს სრულყოფას. გამომდინარე იქიდან, რომ დამნაშავის პიროვნება რთული საკითხია, მის შესწავლას თითოეულ საქმეზე დიდი დრო სჭირდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამომძიებელს ავალდებულებს გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და

[54] ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 353.
[55] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 259-ე, ნაწილი მე-4.
[56] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 39-ე, ნაწილი 1-ლი.

ობიექტურად. შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი სწორედ აქ გულსიხმობს გამომძიებლის მიერ დამნაშავის პიროვნების შესწავლის უზრუნველყოფას, თუმცა სისხლის სამართლის პროცესი არ ავალდებულებს მას შესაბამისი დოკუმენტის შედგენას.

იმ პირობებში, როდესაც გამომძიებელს აქვს შესასრულებელი არაერთი საგამოძიებო მოქმედება, აქვს კი მას შესაძლებლობა ჯეროვნად შეასრულოს ვალდებულება და შეისწავლოს დამნაშავის პიროვნება? გარდა დროის დეფიციტისა, გასათვალისწინებელია შესაბამისი უნარები და ცოდნა. ვფიქრობ, პრაქტიკული თვალსაზრისით ეს პრობლემას წარმოადგენს, რადგან როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე კანონმდებელი ავალდებულებს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა სასჯელის მიზნების მიუღწევლობამდეც კი მივიდეთ.

ვფიქრობ, აუცილებელია სისხლის სამართლის პროცესში დამნაშავის პიროვნების საკითხის შესწავლა დაევალოს სხვა ინსტიტუტს, რადგან ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის სრულყოფილად შეფასების გარეშე შესაძლოა მივიღოთ უარყოფითი შედეგი. მაგალითად, ნაკლებად მკაცრი სასჯელის დამნიშვნის შემთხვევაში, შესაძლოა შედეგად მივიღოთ პირი, რომელსაც შეექმნა დაუსჯელობის განცდა, რაც სამომავლოდ წაახალისებს მას ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ასევე, ნეგატიური შედეგის მომტანი შეიძლება იყოს დაუმსახურებელად მკაცრი სასჯელი, რომელმაც შესაძლოა გაანადგუროს ადამიანი და ის ვეღარასდროს გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ან საბოლოოდ მივიღოთ უფრო მეტად საშიში.

3.3. არასრულწლოვანი დამნაშავის პიროვნების შესწავლა - შეფასების ინდივიდუალური ანგარიში

ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 2 ნოემბრის კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, პატივი სცენ ბავშვის ინდივიდუალურობას და დაიცვან ისინი, ინდივიდუალურობის შელახვისაგან. სწორედ აღნიშნული კონვენციის გამოძახილია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც წარმოადგენს პროგრესულ ნოვაციას და რეალურად იცავს არასრულწლოვნების უფლებებს.

არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში უმთავრესია მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა. გათვალისწინებული უნდა იქნეს კეთილდღეობა, ასაკი, განხორციელებული ქმედებისთვის კი ისეთი სასჯელი უნდა განესაზღვროს, რომელიც უფრო მეტად ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის რესოციალიზაციას და ნაკლებად იქნება მიმართული მისი დასჯისკენ.[57]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებსა და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.[58]

---

[57]მახარობლიძე თ., „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, 2017, გვ.78

[58] ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ. 72.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს სწორედ ინდივიდუალური შეფასების ანგარიში წარმოადგენს. არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი პიროვნება: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.[59]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2010 წლის 20 იანვარს წევრი სახელმწიფოებისთვის გასცა რეკომენდაცია, რომლის თანახმად, „პრობაციის ორგანოებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია და რჩევები სასამართლოს, რათა დაეხმაროს სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში.[60] აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

ინდივიდუალური შეფასების სისტემა გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, მათ შორის სასჯელის დანიშვნისას. კანონმდებელი მოსამართლეს ავალდებულებს ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას, როგორც სრულწლოვანი ასევე, არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ. თუმცა რეალურად, დამნაშავის პიროვნების პორტრეტი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სახით დგება მხოლოდ არასრულწლოვნის შემთხვევაში. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს

---

[59] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი მე-14, ნაწილი 1-ლი.

[60]ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ(მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 105-ე სხდომაზე)პუნქტი 42-43

უდიდესი რესურსი და ძალისხმევა მიმართულია არასრულწლოვანი დამნაშავეებისკენ, რაც მისასალმებელია, თუმცა ამ პირობებში უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს სრულწლოვანი დამნაშავეები. ვფიქრობ, მათი პიროვნების შესწავლაც უნდა მოხდეს სრულფასოვნად სისხლის სამართლის სხვადასხვა ეტაპზე სოციალური მუშაკის და პრობაციის ოფიცრის მიერ, რის საფუძველზეც უნდა შედგეს შესაბამისი დოკუმენტი.

ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა ხდება სისხლის სამართლის სხვადასხვა სტადიაზე, თუმცა არა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის დროს. ვფიქრობ, აღნიშნული ხარვეზი გამოსასწორებელია, რადგან გამოდის, რომ სოციალური მუშაკი ზემოაღნიშინულ ეტაპზე არ შეისწავლის დამნაშავის პიროვნებას, რითაც ირღვევა არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი.

3.4 დამნაშავის პიროვნების შესწავლის მეთოდოლოგია მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების სტადიაზე

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა დამნაშავე პიროვნებისა და სასჯელის დანიშვნის საკითხი, რომლის ფარგლებში აღვნიშნე, რომ მართალია, კანონმდებელი ავადებულებს სასამართლოს გაითვალისწინოს დამნაშავის პიროვნება, თუმცა გამოიკვეთა პრობლემა, რომ მისი შესწავლის კონკრეტული მექანიზმი განსაზღვრული არ არის.

მინდა განვიხილო კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევა, როდესაც რეალურად ხდება დამნაშავის პიროვნების შესწავლა, რის საფუძველზეც დგება შესაბამისი დოკუმენტი და ასევე, ვისაუბრო 2021 წლის სიახლეზე, რომელიც შეეხება დამნაშავეებს, რომლებთა მიმართ სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთაა გამოყენებული.

სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოები. აღნიშნული მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად და ობიექტურად იქნეს განხილული თითოეული მსჯავრდებულის პირადი საქმე და ზეპირი მოსმენით საკითხის განხილვის შემთხვევაში, საბჭომ უშუალოდ მსჯავრდებულთან გასაუბრების შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ საბჭოების მუშაობაში მონაწილეობენ სამსახურის სამოქალაქო დანაყოფის უმაღლესი საგანმანათლებლო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, არასამთავრობო სექტორის, იუსტიციის საბჭოსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.[61]

სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპატიმრობა, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, ხოლო პირი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ საქართველოს იუსტიციის

[61] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალური ვებ-მისამართი, მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება, http://sps.gov.ge/ka/saqmianoba/sasjelisgan-gathavisufleba/msjavrdebulis-pirobith-vadamde-gathavisufleba.html (უკანასკენლად გადამოწმების თარიღი -29.06.2021)

სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთანავე, იგი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

ზემოაღნიშნული შემთხვევის ფარგლებში მუშაობას იწყებს პრობაციის ბიურო, რომელიც საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2018 წლის 30 მაისის N105 ბრძანების შესაბამისად, უფლებამოსილია: კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი პერიოდულობით დაიბაროს მსჯავრდებული აღრიცხვისათვის; ჩამოართვას მსჯავრდებულს ახსნა-განმარტება; საჭიროების შემთხვევაში მსჯავრდებულის ყოფაქცევის შესახებ ინფორმაცია მიიღოს მისი ნათესავებისაგან, ნაცნობებისაგან, სამუშაო ადგილიდან და სასწავლო დაწესებულებიდან; საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს მსჯავრდებულის შესახებ შესაბამისი სახელმწიფო და სამკურნალო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციას; მსჯავრდებულთან ჩაატაროს აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიება; დაეხმაროს მსჯავრდებულს შრომით მოწყობაში; განახორციელოს სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

გარდა ამისა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N68 ბრძანების შესაბამისად, ხდება მსჯავრდებულის ოჯახის შეფასება, რომლის ფარგლებში სოციალური მუშაკი აფასებს შემდეგ გარემოებებს: ოჯახის სოციალური გარემოს მზაობა მსჯავრდებულის დაბრუნების მიმართ; ოჯახის წევრთა დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ; გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის თავშესაფრის არსებობა; მსჯავრდებულზე

დამოკიდებული პირების საჭიროებები და ა.შ.[62] სოციალური მუშაკი ავსებს ბრძანებით გათვალისწინებულ შესაბამისს ფორმას და ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების შესახებ ინფორმაციას აწვდის საქმის მწარომებელ პრობაციის ოფიცერს.

ზემოაღნშნულიდან გამომდინარე, დანამდვილებით, შეგვიძვლია ვთქვათ, რომ დამნაშავის პირობით ვადამდე გათავისუფლების ფარგლებში, აქტიურად შეისწავლება დამნაშავის პიროვნება, რაც აგრეთვე, მოიცავს ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების ასპექტს.

გარდა ამისა, მინდა ვისაუბრო 2021 წლის სიახლეზე, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ იქნა დანერგილი. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მსჯავრდებულისთის უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვას. კერძოდ, სსკ-ის 72 პრიმა მუხლის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით.

ხაზგასასმელია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის,

[62] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N68 ბრძანება.

ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N682 ბრძნებით განსაღვრულია უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების თანდართული პროგრამა. პროგრამის ძირითადი განმახორციელებელია სამსახური, რომელიც პროგრამას ახორციელებს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირებთან – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან კოორდინაციით.[63]

პროგრამის მინიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. პროგრამის მიზანია უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გათავისუფლების, აგრეთვე უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლისთვის, შემთხვევის მართვის ფარგლებში, მსჯავრდებულთა ჩართულობა ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ რეაბილიტაციას და რესოციალიზაცია-რეინტეგრაციისთვის მზადებას. ხოლო პროგრამის ამოცანებია დამნაშავის პიროვნების შეფასება, ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური პროგრამებისა და სხვადასხვა აქტივობების უზრუნველყოფა და სასამართლოსთვის წარსადგენად შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება.

პროგრამაში ჩართულ პირებს უწევთ რვა ეტაპის გავლა, ხოლო თითოეულ შემთხვევაში სავალდებულოა მსჯავრდებულის აქტიური ჩართულობა.

[63] იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ბრძანება N682 https://matsne.gov.ge/ka/document/download/5099486/0/ge/pdf (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021).

ცალკეული ეტაპების დაძლევა ფასდება პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმებით, რაც შემდგომ ეტაპზე გადასვლის წინაპირობაა. აგრეთვე, ხაზგასასმელია, რომ სასამართლოს მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში გუნდის მიერ ხდება მსჯავრდებულის გადაფასება და მის საჭიროებებზე მორგებული განახლებული 6-თვიანი ინდივიდუალური პროგრამის შედგენა.

განსაკუთრებით პროგრესულად მიმაჩნია 2021 წლის სიახლე უვადოდ მსჯავრდებულების სპეციალურ პროგრამაში ჩართვის შესახებ, რომლის ფარგლებში გარდა დამნაშავის პიროვნების შეფასებისა, ხდება მისი კომუნიკაციის აღდგენა ოჯახთან, ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ფსიქო-ემოციური დახმარება და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება.

3.5.ევროპის ქვეყნებში პრობაციის სისტემის ჩართულობა დამნაშავის პიროვნების შესწავლის პროცესში სისხლის სამართლის სხვადასხვა სტადიაზე

წიანმდებარე ნაშრომში არაერთხელ აღვნიშნე, რომ სრულწლოვანი დამნაშავისადმი ინდივიდუალური მოპყრობა უნდა განხორციელდეს არასრუწლოვნის მსგავსად, რაც გამოიხატება შესაბამისი შეფასების ანგარიშის შედგენაში. როგორც უკვე მიმოვიხილე, ვფიქრობ, პრობლემატურია, დამნაშავის პიროვნების შესწავლისთვის კონკრეტული მეთოდოლოგიის განუსაზღვრელობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

მოცემულ თავში მიმოვიხილავ რამდენიმე ევროპის ქვეყნის პრობაციის სისტემას და საქმიანობას, რომლის თანახმად, სამსახური აქტიურად არის ჩართული სასჯელის დანიშვნამდე ინდივიდუალური ანგარიში მომზადების პროცეში.

ესტონეთში პრობაციის სისტემა პასუხისმგებელია ყველა საზოგადოებრივი სანქციისა და ღონისძიების განხორციელებაზე, რაც მოიცავს სასჯელის შეფარდებისწინა ანგარიშებს, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას (აგრეთვე, სასამართლო განხილვისწინა სტადიაზე), პრობაციის ბრძანებას (ქცევის ზედამხედველობას), პრობაციის ბრძანებას, როგორც ღონისძიებას არასრულწლოვნებთან მიმართებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების ბრძანებას და ელექტრონულ მონიტორინგს. საპრობაციოს საქმიანობის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს პრობაციის ოფიცრის საქმიანობის ფარგლებს.[64]

რუმინეთში წინასასამართლო განხილვის ეტაპზე პრობაციის სამსახური ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს/პროკურორს შეფასებითი ანგარიში (სოციალური მოკვლევის ანგარიში) ყველა ახალგაზრდასთან მიმართებით, რომელთაც მიაღწიეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (14 წლის ასაკი). სასამართლო უფლებამოსილია მოითხოვოს ამგვარი ანგარიშების მომზადება, თუ დაცვის ქვეშ მყოფ ბავშვს 14 წელი არ შესრულებია. დამატებით, პრობაციის ოფიცერი მუშაობს დაზარალებულთან. ამ შემთხვევაში დაზარალებულს გაეწევა ფსიქოლოგიური კონსულტაცია და დახმარების სხვა ფორმები. კანონმდებლობა პრობაციის სამსახურს უფლებას აძლევს ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაზარალებულთა დახმარების სხვა ფორმების აღსრულების კუთხით. სასამართლო განხილვისა და აღსრულების პროცესში პრობაციის ოფიცერი, სასამართლოს ან პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე, ჩართულია სასჯელისწინა შეფარდების ანგარიშის მომზადებაში.[65]

---

[64] შალიკაშვილი მ., და სხვები, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 330
https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/03/Probation-Law-Manual-WEB.pdf
(უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021)

[65] შალიკაშვილი მ., და სხვები, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 335
https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/03/Probation-Law-Manual-WEB.pdf
(უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021)

პოლონეთის შემთხვევაში პრობაციის სამსახურის როლი წინასწარი გამოძიების სტადიაზე მკაცრად არის ლიმიტირებული და მხოლოდ საზოგადოებრივი პროკურორის ბრძანების საფუძველზე სასამართლოსწინა ანგარიშების (საზოგადოებრივი მოკვლევის ანგარიშების) მომზადებას მოიცავს. შესაძლოა, აღნიშნული მოკვლევები, რომლებიც ბრალდებულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს, მოთხოვნილ იქნეს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში. აღსრულების ფაზაში პრობაციის სამსახურის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ზრდასრულ პირთა ზედამხედველობა წარმოადგენს. პროფესიონალი პრობაციის ოფიცრები უფლებამოსილი არიან ზედამხედველობა გაუწიონ პირს, რომლის სასჯელის აღსრულებაც გადავადებულ იქნა, ანდა, როდესაც პირი პირობით ვადამდე გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან.[66]

ჰოლანდიის პრობაციის საქმიანობის არეალი დაკავშირებულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესთან. საპრობაციო საქმიანობა აქტიურობით გამოირჩევა სისხლის სამართალწარმოების პროცესის ყველა ეტაპზე დაწყებული დაკავებით, დასრულებული აღსრულებით. წინასასამართლო ეტაპამდე, ანუ სანამ საქმის არსებითი განხილვა დაიწყება, პრობაციის ოფიცერი ამზადებს სოციალური მოკვლევის და სასჯელის შეფარდებისწინა ანგარიშს.[67]

სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების განხილვით გამოიკვეთა, რომ მიუხედავაად მათი საქმიანობის არეალის განხვავებისა, მათ აქვთ ერთი მნიშვნელოვანი საერთო ფუნქცია, კერძოდ, სასჯელის დანიშვნამდე ანგარიშის მომზადება ინდივიდუალურ დამნაშავეთა მიმართ, რომელიც ეხმარება სასამართლოს მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

---

[66] შალიკაშვილი მ., და სხვები, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 347
https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/03/Probation-Law-Manual-WEB.pdf
(უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021)
[67] იგივე, გვ. 352.

აღსანიშნავია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, რომლის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15ბ მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს რა ევროპის საბჭოს მიზნებს, მიაღწიოს წევრ ქვეყნებს შორის მეტ ერთიანობას, განსაკუთრებით, საერთო ინტერესების სფეროში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით; ითვალისწინებს რა, რომ პრობაციის მიზანია, წვლილი შეიტანოს სამართლიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში და, აგრეთვე, საზოგადოებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფაში დანაშაულის განმეორებითი ჩადენის პრევენციის და შემცირების გზით.[68]

ვფიქრობ, ევროპის ქვეყნების პრობაციის მოდელის დანერგვა პროგრესული იქნება საქართველოს მართლმსაჯულებისთვის. სისხლის სამართლის პროცესში დამნაშავის პიროვნების შესწავლას და ანაგრიშის მომზადებას, პრობაციის სამსახური უფრო სრულყოფილად შეძლებს. აგრეთვე, მათ აქვთ სპეციალური ცოდნა, უნარები და გამოცდილება მსგავსი ტიპის საქმიანობის განხორციელების. პრობაციის ახალი მოდელის დანერგვის შემთხვევაში, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოხდებოდა, სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, დამნაშავის პიროვნების შესწავლის მეთოდოლოგიის და უფლებამოსილი პირის განსაზღვრა. ვფიქრობ, ეს იქნება რთულად შესასრულებელი სამუშაო, თუმცა მიმართული განვითარებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისკენ.

[68]ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ. (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 105-ე სხდომაზე).

შედეგები და მათი განსჯა

წინამდებარე თავში დეტალურად არის მიმოხილული კვლევისას გამოკვეთილი პრობლემური საკითხები და შეფასებულია მათი გადაჭრის კუთხით.

ნაშრომის პირველ თავში განხილულ იქნა დამნაშავის პიროვნების შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევისას გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არაერთხელ გვხვდება ტერმინი „დამნაშავე“, კანონი კი, არ განსაზღვრავს მის დეფინიციას. შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა დაადასტურა, რომ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ვაწყდებით უერთიერთსაპირისპირო მოცემულობას, რის საფუძველზეც პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: ვინ არის დამნაშავე სისხლისსამართლებრივი გაგებით? გარდა ამისა ნაშრომში მიმოხილულია დანაშაულის სუბიექტის, დამნაშავის პიროვნებისა და ინდივიდუალიზმის გამიჯვნა, ხოლო იდენტური ცნებების მრავალფეროვნება დაბნეულობას იწვევს მეცნიერულ გააზრებაში, მით უფრო „დამნაშავის“ სისხლისსამართლებრივი განმარტების არარსებობის ფონზე. ვფიქრობ, აღნიშნული ხარვეზი აუცილებელია აღმოიფხვრას და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაკეთდეს შესაბამისი განმარტება.

გარდა აღნიშნულისა, ნაშრომში განხილულ იქნა დამნაშავის პიროვნება, როგორც კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტი. კვლევისას გამოიკვეთა, რომ გარკვეულ დრომდე კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტები არ ყოფილან იდენტობის დისოციაციური აშლილობის მქონე ადამიანები. სწორედ ბილი მილიგანის პრეცენდენტული საქმის შემდეგ დაიწყეს კრიმინოლოგებმა მსგავსი ფაქტების შესწავლა. ვფიქრობ, ეს მოვლენა კრიმინოლოგიური მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ სიახლეა და სწორედ დისოციაციური

აშლილობის მქონე დამნაშავეები უნდა გახდნენ აქტიური კვლევის ობიექტები.

დამნაშავის პიროვნების კვლევისას გამოიკვეთა ტიპოლოგიის პრობლემა, რომელიც მის მრავაფეროვნებაში გამოიხატება. კრიმინოლოგები განსაზღვრავენ დამნაშავეთა ტიპებს სხვადასხვა ნიშნებზე დაყრდნობით, ხოლო შედეგად ვიღებთ აბსოლუტურად განსხვავებული ტიპოლოგიის დაუსრულებელ ჩამონათვალს. ამ პრობლემის გადასაჭრელად ვფიქრობ, მისაღებია დამნაშავეთა ტიპოლოგიის განსაზღვრა სისხლის სამართლის დანაშაულების სახეების მიხედვით, რაც გაამარტივებდა პრევენციისა და პროგნოზირების საკითხს.

წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში განხილულ იქნა დამნაშავის პიროვნება, როგორც ინდივიდუალური კრიმინალური ქცევის გამომწვევი მიზეზების მატარებელი. პიროვნების ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების თანაფარდობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი მოსაზრებით, სწორედ სოციალური ფაქტორი განსაზღვრავს ადამიანის დამნაშავედ ჩამოყალიბებას. ერთსა და იმავე მიკროგარემოში მცხოვრებ ადამინებს შორის, ხშირად გხვდებიან აბსოლუტურად განსხვავებული მართლშეგნების მქონე ადამიანები, რაც გამოწვეულია მათი ბიოლოგიური ფაქტორით. ვფიქრობ, ამ საკითხზე მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ ადამიანის გენეტიკური მახასიათებელი, მისი ფიზიოლოგია და ფსიქიკა უფრო რთულ პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე სოციალური გარემო, რომლის შეცვლა შესაძლებელია, განსხვავებით პიროვნების ფიზიოლოგიური მდგომარეობისა.

ნაშრომში აგრეთვე, განხილულ იქნა დამნაშავის პიროვნების ქცევის მექანიზი და მოტივაციური ფაქტორები. კრიმინოლოგები განიხილავენ შინაგანი და გარეგანი ქცევის მექანიზმებს საუბრობენ „მე-ს“ კონცეფციაზე და გვთავაზობენ არაერთ თეორიას, თუმცა მათ მიერ ჯერ კიდევ ბოლომდე

შეუსწავლელია კლეპტომანის ფენომენი. ვფიქრობ, კრიმინოლოგებმა აქტიურად უნდა შეისწავლონ კლეპტომანი დამნაშავის პიროვნება და საბოლოოდ უნდა დადგინდეს მათი ქცევის მექანიზმი და მოტივაციური ფაქტორები.

თემის მეოერე თავში ასევე განხილულ იქნა დამნაშავე პიროვნების ქცევის პროგნოზირების საკითხი. მეცნიერები თვლიან, რომ მისი ზუსტი განსაზღვრა ნაკლებადაა შესაძლებელი, თუმცა ნაწილობრივ გამართლებული პროგნოზიც კი საჭირო და გამოსადეგია. კვლევისას დადგინდა, რომ მოძალადე დამნაშავის ტიპების ქცევა ხშირად განმეორებითი ხასიათისაა, რაც დადასტურდა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევით. მოძალადე დამნაშავის ქცევა შედარებით ადვილად პროგნოზირებადია დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე. ამას გარდა, დანაშაულის პროგნოზირების საკითხი ნაშრომში განხილულ იქნა ინტროვერტი და ექსტრავერტი ადამიანების ჭრილში. დამნაშავეების ამგვარი გამიჯვნით შესაძლებელი იქნება ზოგადი პროგნოზირების გაკეთება, დანაშაულთა საშიშროებისა და კატეგორიის კუთხით.

ნაშრომში ვისაუბრეთ ასევე, დამნაშავის სოციალიზაციის პრობლემაზე, რომელიც მხოლოდ სოციუმსა და სახელმწიფოს არ უნდა დავუკავშიროთ. მისი გამომწვევი მიზეზი შესაძლოა თავად პიროვნება იყოს, რომელსაც არ სურს დაუბრუნდეს სრულფასოვან ცხოვრებას. ისმის მოსაზრებები, რომ საზოგადოება ახდენს დამნაშავეთა გარიყვას, თუმცა სწორედ აქ იჩენს თავს პიროვნების მართლშეგნების პრობლემა, ხშირად ისინი თავადვე უარყოფენ მიღებულ წესებს და აკეთებენ არჩევანს პატიოსან ცხოვრებასა და სუბკულტურას შორის.

თემის მესამე თავში განხილულია პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, დამნაშავის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების შესახებ.

პირველ რიგში განვიხილეთ დამნაშავის პიროვნებისა და სასჯელის ურთიერთქმედების საკითხი. სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს მოსამართლის ვალდებულებას მხედველობაში მიიღოს დამნაშავის პიროვნება სასჯელის დანშვნის ეტაპზე. კვლევისას დადგინდა, რომ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თუ რა კონკრეტული მეთოდოლოგიით შეისწავლება დამნაშავის პიროვნება, განსხვავებით არასრულწლოვნის შემთხვევისაგან. ასევე, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის ვალდებულების განხივლისას, გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კდოექსი ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის ეტაპზე არ ითვალისწინებს ინდივიდუალური ანგარიშის მომზადების აუცილებლობას, რაც წარმოადგენს ხარვეზს კანონმდებლობაში, რომელიც უნდა აღმოიფხვრას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ნაშრომში მიმოვიხილეთ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესში პიროვნების შესწავლის მეთოდოლოგიის საკითხი. ასევე ვისაუბრეთ მიმდინარე წლის სიახლეზე, რაც უვადოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულების სპეციალურ პროგრამაში ჩართვას გულისხმობს. პროგრამის ფარგლებში აქტიურად ხდება დამნაშავის პიროვნების შესწავლა, ხოლო საბოლოოდ დგება შემაჯამებელი დოკუმენტი, რომლის შესაბამისად სასამართლო იღებს მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, ეს პროგრესული საიხლე კიდევ ერთი წინ გადაგმული ნაბიჯია ქართული მართლმსაჯულების განვითარებისთვის.

ამავე თავში განვიხილეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პრობაციის სისტემები, რომლებსაც აქვთ საერთო მახასიათებელი - სასჯელის დანიშვნამდე სპეციალური ანგარიშის მომზადების ვალდებულება, რაც ეხმარება სასამართლოს მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. ვფიქრობ, სწორედ პრობაციის სისტემის ევროპული მოდელი უნდა დაინერგოს

საქართველოში. სისხლის სამართლის პროცესში სრულწლოვანი დამნაშავის პიროვნების შესწავლა უნდა მოხდეს პრობაციის ოფიცრისა და სოციალური მუშაკის მიერ, რაც ვთვლი, რომ გაცილებით ეფექტიანი საშაულებაა სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა დამნაშავე პიროვნების უმნიშვნელოვანესი როლი, როგორც კრიმინოლოგიაში, ასევე, სისხლის სამართლის პროცესში.

დასკნის სახით მიმოხილულია იმ კონკრეტული პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები და მათი გადაჭრის გზებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

წინა თავში ჩვენ დეტალურად ვისაუბრეთ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემებზე, რომლის ფარგლებში პირველ რიგში აღსანიშნავია ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც სისხლის სამართლის საკანონმდებლო აქტებში გვხვდება. ვფიქრობ, აუცილებელია კანონმდებელმა განსაზღვროს „დამნაშავის“ ერთიანი დეფინიცია, რაც აღმოფხვრის იმ უზუსტობას, რომელიც ამ ეტაპზე სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია მოცემული. გარდა ამისა, უნდა გამოსწორდეს ხარვეზი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, რომელიც ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის ეტაპზე არ ავალდებულებს სოციალურ მუშაკს ინდივიდუალური ანგარიშის შედგენას, რაც იმთავითვე ეწინააღმდეგება ბავშვთა უფლებათა კონვენციისა და თავად ამავე კოდექსის მიზანს, რაც ვლინდება ბავშვის მიმართ მკაცრად ინდივიდუალური მიდგომისა და მათი საუკეთეოს ინტერესების დაცვაში.

ჩატარებული კვლევისას აგრეთვე გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესში სრუწლოვანი დამნაშავის პიროვნების შესწავლის მეთოდოლოგიის განუსაზღვრელობის პრობლემა. შესაძლოა, კანონმდებელი გამომძიებელს ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების ფარგლებში ავალდებულებდეს დამნაშავის პიროვნების შესწავლას, თუმცა ვფიქრობ, შეუძლებელია ყოველივე აღნიშნულის ჯეროვნად და სრულყოფილად განხორციელება. მიმაჩნია, რომ სრულწლოვანი დამნაშავის

პიროვნების შეფასება სისხლის სამართლის პროცესში უნდა მოახდინოს სოციალურმა მუშაკმა და პრობაციის ოფიცერმა, რომლის შესაბამისად, კანონმდებლობაში უნდა განისაზღვროს ზუსტი მეთოდოლოგია და შეფასების ანგარიშის შევსების ვალდებულება. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების პრობაციის სისტემების მოდელები, რომლებიც ჩართულები არიან მართლმსაჯულების განხორციელებაში დამნაშავის პიროვნების შესწავლის კუთხით. ვფიქრობ, რომ სწორედ მსგავსი ევროპული მოდელის დანერგვა იქნება საუკეთესო გზა სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

პროგრესულ მიღწევად შევაფასებდი მიმდინარე წლის სიახლეს, რომელიც უვადოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების სპეციალურ პროგრამაში ჩართვასა და მათი პიროვნების სრულყოფილად შესწავლას გულისხმობს, რომლის საფუძველზეც სასამართლო იღებს მსჯავრდებულთა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას. ვფიქრობ, ეს არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, თუმცა მისი ეფექტიანობის შეფასების საშუალება მომავალში მოგვეცემა.

ბიბლიოგრაფია

ნაშრომში გამოყენებული ნორმატიული მასალა

1. სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, 22 ივლისი;
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1999 , 22 ივლისი;
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015, 12 ივნისი;
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950, 4 ნოემბერი;
5. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ(მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეები ს 105-ე სხდომაზე);
6. საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის N132.N95/N23 ერთობლივი ბრძანება;
7. საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 22 მარტის ბრძანებულება N235;
8. მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N 681;
9. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N68 ბრძანება;
10. იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ბრძანება N682.

სახელმძღვანელოები, სტატიები, კვლევები

<u>გამოცემები ქართულ ენაზე:</u>

1. წულაია ზ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა „ინტელექტი“, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბილისი, 2005;
2. ღლონტი გ., რედ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008;
3. გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, რედ. ღლონტი, გ., თბილისი, 1998
4. ჭოღოშვილი რ., კრიმინოლოგია, თბილისი, 1995;
5. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013;
6. დონჯაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007;

7. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2011;
8. გაბუნია მ., შესავალი კრიმინოლოგიაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011;
9. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016;
10. შალიკაშვილი მ., და სხვები, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015;
11. გაბისონია ი., ჟურნალი „იურისტი“, სტატია „ბრალდებული, მსჯავრდებული თუ დამნაშავე?!“ თბილისი, 2017;
12. შალიკაშვილი, მ., ჩიხლაძე, დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013;
13. გაბუნია მ., დამნაშავის პიროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში, ჟურნალი „თემიდა“, 2010;
14. ვარძელაშვილი ი., „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017;
15. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „საია“ - ოჯახური ძალადობა, სოციალ-პოლიტიკური ასპექტები, საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები, 2006;
16. მახარობლიძე თ., „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, 2017;
17. მენაბდე ვ., კონტრტერორისტული სახელმწიფო - ახალი დროის საგანგებო მდგომარეობა, 2011;
18. კოგანი ვ., მ., დამნაშავეობის სოციალური თვისებები, 1977;
19. იგოშევი კ.,ე., დამნაშავე პიროვნების ტიპოლოგია და დანაშაულებრივი ქცევის მოტივაცია -გორკი, 1974;
20. ავანესოვი გ., და სხვები, კრიმინოლოგია, მეოთხე გამოცემა, გადამუშავებული და შევსებული, თბილისი, 2007.

<u>უცხოური ლიტერატურა:</u>

1. Arnold D. O., The Sociologie of subcultur, Berkeley/Cal, 1970;
2. Schwendter R., Theorie Der Subkultur,4 Auflage, Hamburg, 1993;

3. Schneider H.,J., Krimilogie, Berlin/New York, 1987;
4. Meier. B.-D., Kriminologie.3. Auflage, Munchen, 2007;
5. Mergen, A., Die Kriminologie, Eine Systematische Darstellung. 3. Auflage, Munchen, 1995;
6. Kaiser G., Kriminologie, Eine Einfuhrung in die Grundlagen, Heidelberg, 1997.

ინტერნეტ რესურსები:

1. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, www.gender.geostat.ge (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 15.06.2021);
2. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N235, 2012წლის 22 მარტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1617344?publication=0 (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 15.06.2021);
3. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიციალური ვებ-მისამართი, მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება, http://sps.gov.ge/ka/saqmianoba/sasjelisgan-gathavisufleba/msjavrdebulis-pirobith-vadamde-gathavisufleba.html (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021);
4. https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2017/06/08/33a13cff07ac64aac9ff2badfc2a5ca1.pdf (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021);
5. https://ka.warbletoncouncil.org/cleptomania-robo-mitos-trastorno-7914#menu-10 (უკანასკნელად გადამოწმების თარიღი - 29.06.2021).